

სახელმძვანელო კაუხლების ზეგავლენის ქვეშ  
მოქცეული თეგებისთვის



ეს პუბლიკაცია გამოიცა მწვანე ალტერნატივას პროექტის „ადგილობრივი თემების გაძლიერება იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების“ (G-PAC) ფარგლებში. ამ პროგრამის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

ამ გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებათა ამსახველად.

© მწვანე ალტერნატივა, 2011

ფოტო გარეკანზე: ენგურპესი, მწვანე ალტერნატივა, 2011

პუბლიკაციაში გამოყენებული სურათები: International Revers Network, 2006



# კაუხლები, მდინარეები და ჩვენი უფლებები

სახელმძღვანელო კაუხლების ზეგავლენის ძველ  
მოქცეული თემებისთვის

## ს ა რ ჩ ე ვ ი

|  |           |
|--|-----------|
| შესავალი .....   | 3         |
| <b>თავი 1. ზოგადი ინფორმაცია კაშხლების შესახებ .....</b>                           | <b>3</b>  |
| 1.1 რა არის კაშხალი?.....  | 3         |
| 1.2 კაშხლების ტიპები და დანიშნულება.....   | 3         |
| 1.3 ვინ იღებს სარგებელს და ვინ განიცდის დანაკარგს კაშხლების მშენებლობის გამო?..... | 4         |
| 1.4 როგორ ფუნქციონირებენ კაშხლები? .....   | 5         |
| 1.5 ვინ იხდის კაშხლების აშენების საფასურს?.....                                    | 6         |
| <b>თავი 2. კაშხლების მშენებლობის და ექსპლუატაციის შედეგები.....</b>                | <b>6</b>  |
| 2.1 კაშხლების ზეგავლენა ადამიანებსა და გარემოზე.....                               | 7         |
| 2.2 იძულებით განსახლებასთან დაკავშირებული რეალობები .....                          | 7         |
| 2.3 ზეგავლენა კაშხლის ქვედა ბიეფის მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობაზე .....          | 10        |
| <b>თავი 3. საერთაშორისო გამოცდილება საზიანო კაშხლების წინააღმდეგ.....</b>          | <b>11</b> |
| <b>თავი 4. როგორ ვიმოქმედოთ? .....</b>   | <b>12</b> |
| 4.1 კამპანიის დაგეგმვა .....   | 12        |
| 4.2 მოქმედების ეფექტური სტრატეგიები.....   | 13        |
| 4.3 რა შეიძლება გაკეთდეს კაშხლის მშენებლობის პროექტის თითოეულ ეტაპზე.....          | 16        |
| <b>თავი 5. კაშხლების ალტერნატივები .....</b>                                       | <b>21</b> |
| 5.1 ენერჯის მიღების ალტერნატიული გზები .....                                       | 21        |
| 5.2 წყალდიდობების მართვის ალტერნატიული გზები .....                                 | 22        |
| <b>ბოლოთქმა .....</b>  | <b>23</b> |
| <b>გამოყენებული ლიტერატურა .....</b>   | <b>24</b> |

## შესავალი

მთელ მსოფლიოში ადამიანები წინააღმდეგობას უწევენ ზიანის მომტანი კაშხლების მშენებლობას. ისინი იბრძვიან მდინარეებისა და თავისი საარსებო გარემოს დასაცავად, ითხოვენ კაშხლების აშენების შედეგად მიყენებული ზიანის კომპენსაციას, წამოწევენ უკეთეს ალტერნატივებს ენერჯისა და წყალზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და წყალდიდობების რისკის სამართავად; ისინი იბრძვიან იმისათვის, რომ მათი ინტერესები გათვალისწინებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილებების მიღებისას, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მათ ცხოვრებაზე.

უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში საერთაშორისო მოძრაობა კაშხლების წინააღმდეგ გაფართოვდა და შესაბამისად, მრავალი წარმატებაც იქნა მიღწეული: ზოგიერთი კაშხლის მშენებლობა შეჩერდა; შეთავაზებულ იქნა და განხორციელდა ალტერნატიული წინადადებები - პატარა კაშხლების მშენებლობისა და წყლის კონსერვაციის პროექტები; მოსახლეობის ნაწილმა უკეთესი კომპენსაცია მიიღო; ასევე, განხორციელდა ზოგიერთი ძველი კაშხლის დემონტაჟი. მიუხედავად აღნიშნულისა, დიდი კაშხლების მშენებლობა კვლავ საფრთხეს წარმოადგენს მრავალი თემისთვის.

წარმოდგენილი სახელმძღვანელო ძირითადად ეფუძნება „მდინარეთა საერთაშორისო ქსელის“ (International Rivers Network) მიერ 2006 წელს გამოცემულ მოქალაქეთა სახელმძღვანელოს კაშხლების შესახებ, რომელშიც ქსელი შეეცადა გაეზიარებინა უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება კაშხლების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული თემებისთვის. სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ინფორმაცია და განხილულია ის ინსტრუმენტები, რომლებიც დაეხმარება კაშხლების ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ თემებს, დაიცვან თავისი უფლებები კაშხლების პროექტების დაგეგმვისას და განხორციელებისას.

სახელმძღვანელოს პირველ თავში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია კაშხლების შესახებ, თუ როგორ მუშაობს კაშხალი, ვინ იღებს სარგებელს და ვინ განიცდის დანაკარგს კაშხლების მშენებლობის შედეგად. მეორე თავში საუბარია მოსახლეობასა და ბუნებრივ რესურსებზე კაშხლების ზემოქმედებაზე; მესამე თავში აღწერილია კაშხლების წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო კამპანიები და მიღწეული წარმატებები; ხოლო მეოთხე თავში აღწერილია, თუ როგორ და რა ფორმებით შეუძლია ადგილობრივ მოსახლეობას თავისი უფლებების დაცვა კაშხლების პროექტების განხორციელებისას; დასასრულს, მეხუთე თავში, წარმოდგენილია ინფორმაცია ენერჯის მიღების და წყალდიდობების მართვის იმ ალტერნატიული გზების შესახებ, რომლებიც უკეთ აკმაყოფილებენ მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

## თავი 1. ზოგადი ინფორმაცია კაშხლების შესახებ

### 1.1 რა არის კაშხალი?

კაშხალი არის დინების შეფერხების მიზნით აშენებული ქვის ან ბეტონის კედელი, რომლის შედეგად იქმნება ხელოვნური ტბა, რომელსაც რეზერვუარი ეწოდება. რეზერვუარში დაგროვილი წყალი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ენერჯის გამომუშავებისთვის, საირიგაციო და სასმელი წყლის მიწოდებისთვის, ნავიგაციის ხელშეწყობისთვის, წყალდიდობების მართვისათვის და სხვა დანიშნულებით.

მსოფლიოში 15 მეტრზე მეტი სიმაღლის 47 000-ზე მეტი დიდი კაშხალია. ყველაზე დიდი კაშხლები ჩინეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინდოეთშია აშენებული. მსოფლიოს უდიდესი კაშხლების სიმაღლე 250 მ-საც კი აღემატება, ხოლო მათი სიგანე ზოგჯერ რამოდენიმე კილომეტრსაც აღწევს. მსგავსი სიდიდის კაშხლების ასაშენებლად ათ წელიწადზე მეტი დრო და მილიარდობით დოლარია საჭირო.

### 1.2 კაშხლების ტიპები და დანიშნულება

**წყალმომარაგებისა და ირიგაციისთვის გამიზნული კაშხალი** - ასეთი ტიპის კაშხალი ინახავს წყალს რეზერვუარში; დაგროვილი წყალი, საჭიროების და მიხედვით, არხების ან დიდი მილსადენების საშუალებით მიეწოდება ქალაქებსა და/ან ფერმებს.

**ელექტროენერჯის გამომუშავებისთვის გამიზნული კაშხალი** - ამ მიზნით აშენებული კაშხლის რეზერვუარში დაგროვილი წყალი ტურბინების ასამუშავებლად გამოიყენება, რის შედეგადაც

გამომუშავდება ელექტროენერგია. მიღებული ელექტროენერგია ელექტროგადამცემი ხაზების საშუალებით დასახლებულ პუნქტებსა თუ ქარხნებში მიემართება. ტურბინებში წყლის გავლის შემდეგ წყალი კვლავ მდინარეს უბრუნდება.

**წყალდიდობის მართვისთვის გამიზნული კაშხალი** - ასეთი ტიპის კაშხალის რეზერვუარში წყალი გროვდება ძლიერი წვიმების დროს, რათა თავიდან იქნეს აცილებული დატბორვა კაშხლის ქვედა ბიეფში (მდინარის კალაპოტი კაშხლის ქვემოთ).

**სანავიგაციო კაშხალი** - მსგავსი ტიპის კაშხალი წყალს რეზერვუარში ინახავს და მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება წყლის დამატებითი რაოდენობის გაშვება დინებაში, როდესაც მდინარე იმდენად მეჩხერია, რომ შეუძლებელია მცურავი საშუალებების (მაგალითად, ნავების, ბორნების) მოძრაობა. ასეთი ტიპის კაშხლები შესაძლებელს ხდის მთელი წლის განმავლობაში მცურავი საშუალებების შეუფერხებელ მოძრაობას.



კაშხლებს, შესაძლოა, სხვადასხვა ზომა და ფორმა ჰქონდეთ, მაგრამ როგორც წესი, უმრავლესობა ასე გამოიყურება

**1.3 ვინ იღებს სარგებელს და ვინ განიცდის დანაკარგს კაშხლების მშენებლობის გამო?**

წარმოება და ქალაქის მაცხოვრებლები კაშხლებიდან სარგებელს ელექტროენერგიისა და წყლის მარაგის სახით, მსხვილი სასოფლო-სამეურნეო კომპანიები კი, იაფი საირიგაციო წყლის სახით იღებენ. კაშხლები ხშირად ართმევენ რესურსებს ადგილობრივ სოფლის მოსახლეობას და სანაცვლოდ, ამ რესურსებით სარგებლობენ საწარმოები და ქალაქის მოსახლეობა, ზოგჯერ მეზობელი სახელმწიფოებიდანაც.


კაშხლების მშენებლობას დიდი მოგება მოაქვს იმ სამშენებლო და საინჟინრო კომპანიებისთვისაც, რომლებიც აპროექტებენ და აშენებენ მათ. კაშხლების სარგებელი საკმაოდ დიდია მთავრობებისთვისაც, ბიუჯეტში კაშხლების მშენებლობისა და ექსპლუატაციისას მიღებული გადასახადების გზით. ამასთან, ვინაიდან კაშხლების ასაშენებლად კოლოსალური თანხებია საჭირო, შესაძლებელია ამ თანხებიდან სარგებელი კორუმპირებული მთავრობის ან კომპანიის წარმომადგენლებმაც ნახონ.

რაც შეეხება დანაკარგს, დიდი კაშხლების მშენებლობით ყველაზე დიდი ზიანი ადგილობრივ მოსახლეობასა და ფერმერებს ადგებათ. მილიონობით ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი სახლ-კარი კაშხლების მშენებლობის გამო. ამასთან, მდინარის ქვედა დინების გასწვრივ მცხოვრებმა მილიონებით ადამიანმა დაკარგა საარსებო წყარო და იძულებული გახდა შეეცვალა ტრადიციული ცხოვრების წესი.


მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ის ფაქტი, რომ როგორც წესი, კაშხლების პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობა იშვიათად ან საერთოდ არ მონაწილეობს კაშხლების მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. უფრო მეტიც, ხშირად მათ არ სმენიათ ისეთი

უფლებების შესახებ, როგორცაა მაგალითად, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საზოგადოებრივ განხილვებში მონაწილეობა, ახალი მიწების და საარსებო გარემოს მოთხოვნა და ა.შ. მათ არ იციან, რომ უფლება აქვთ უარიც კი განაცხადონ კაშხლის მშენებლობაზე. ადგილობრივი მოსახლეობა, უმრავლეს შემთხვევაში, ვერც იმ ელექტროენერგიიდან ან წყლიდან იღებს სარგებელს, რომელიც მათ მეზობლად მდებარე კაშხლისგან მიიღება.


კაშხლების მშენებლობით მიღებული სარგებელი და დანაკარგი



დიდი ფერმები იღებენ საირიგაციო წყალს და ელექტროენერგიას



კაშხლების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობა კი, ხშირად, დაბალი ხარისხის მიწის ამარა რჩება



ზოგი კაშხალი, წყალდიდობისგან დაცვის ნაცვლად, კიდევ უფრო ამძიმებს შედეგებს

ყურადღება!  
კაშხალი წყალს უშვებს,  
დაგოვით გერიგორია!

### 1.4 როგორ ფუნქციონირებენ კაშხლები?

მართალია, დიდი კაშხლები გარკვეულ სარგებელს იძლევიან, მაგრამ ხშირია შემთხვევები, როდესაც კაშხლები ვერ გამოიმუშავენ იმდენ ელექტროენერგიას ან ვერ რწყავენ იმდენ მიწას, რამდენიც თავდაპირველად იყო დაგეგმილი. ეს განპირობებულია კაშხლის მშენებლების გადაჭარბებული გათვლებით მდინარეში არსებული გამოსაყენებელი წყლის ოდენობის შესახებ.

წყალდიდობის მართვისთვის მოწყობილ კაშხლებს ძალუმთ მცირე დატბორვების თავიდან აცილება, თუმცა უფრო ძლიერი წყალდიდობის დროს შესაძლებელია, რეზერვუარმა ვერ გაუძლოს დიდი ოდენობის წყალს და გამოიწვიოს არამართო კაშხლის ქვედა ბიეფში მცხოვრები მრავალი ადამიანის სახლ-კარის დატბორვა და ქონების დაკარგვა, არამედ ადამიანთა მსხვერპლიც კი.

კაშხლები არ ფუნქციონირებენ მუდმივად. კაშხლების სიცოცხლის ხანგძლივობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი მდინარეში არსებული ნატანის ოდენობაა. დროთა განმავლობაში რეზერვუარები ამ ნატანით ივსება და კაშხლებიც თანდათანობით უფრო ნაკლებ ეფექტურნი ხდებიან. ეს პროცესი გრძელდება კაშხლის ფუნქციონირების შეწყვეტამდე.

### ჩანართი 1. კაშხლების არასრულფასოვანი ფუნქციონირებით ზიანი ადგება როგორც მთავრობებს, ისე მოსახლეობას

იაკირეტას კაშხალს, არგენტინის ყოფილმა პრეზიდენტმა, კარლოს მენემმა “კორუფციის ძეგლი” უწოდა. კაშხლის დანახარჯები დაგეგმილი 2,7 მილიარდი დოლარიდან 11,5 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა, პროექტი კი, ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.

არგენტინასა და პარაგვაიში მდებარე იაკირეტას კაშხალი, დაგეგმილის მხოლოდ 60% ენერჯიას გამოიმუშავებს. პროექტის არამომგებიანობის გამო, ჯგუფს, რომელიც ამ კაშხალს მართავს, მილიარდობით დოლარის ოდენობის ვალი აქვს, რომელსაც ვერ ისტუმრებს.

ხშირად მთავრობები კაშხლების ასაშენებლად იღებენ სესხს იმ ვარაუდით, რომ შემდგომ ეს კაშხლები გაზრდიან შემოსავლებს. თუ აშენებულმა კაშხალმა ვერ გამოიმუშავა დაგეგმილი ელექტროენერჯიის მოცულობა, მთავრობები სესხს ვეღარ ისტუმრებენ. შედეგად, მათ შესაძლოა შეამცირონ დანახარჯები განათლებასა და ჯანდაცვაზე, ეს კი, თავის მხრივ, უარყოფით ზეგავლენას ახდენს მრავალ ადამიანზე.

დაბალშემოსავლიან ქვეყნებში კაშხლების ასაშენებლად განხორციელებულმა ინვესტიციებმა შესაძლოა გამოიწვიოს არა სიღარიბის შემცირება (რა მიზანსაც უნდა ემსახურებოდეს ამ კაშხლის დაფინანსება), არამედ პირიქით, სიღარიბის ზრდა, ვინაიდან წარუმატებელ პროექტში განხორციელებული ინვესტიცია კიდევ უფრო დაამძიმებს სახელმწიფოს ვალს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, მაგალითად, მსოფლიო ბანკის მიმართ.

### 1.5 ვინ იხდის კაშხლების აშენების საფასურს?

ყოველწლიურად საშუალოდ 40 მილიარდი აშშ დოლარი იხარჯება კაშხლების ასაშენებლად. ვინაიდან კაშხლების მშენებლობა ძვირი ჯდება, მთავრობებს სჭირდებათ სესხის აღება სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტებიდან. მათ შორის, კაშხლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დამფინანსებელი მსოფლიო ბანკია. ამ ბანკს მთელ მსოფლიოში დაახლოებით 60 მილიარდი დოლარი აქვს დახარჯული 600 კაშხლის ასაშენებლად. მსოფლიო ბანკის გარდა არსებობენ სხვა ფინანსური ინსტიტუტებიც, ისეთები როგორებიცაა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, აფრიკის განვითარების ბანკი. ეს ინსტიტუტებიც, მსოფლიო ბანკის მსგავსად, გასცემენ სესხებს კაშხლების მშენებლობისთვის.

როდესაც მსგავსი ტიპის ბანკები ნაწილობრივ აფინანსებენ კაშხლების მშენებლობას, მთავრობებს უადვილდებათ სესხის მიღება კომერციული ბანკებიდან. განვითარებული ქვეყნები, როგორცაა მაგალითად, გერმანია და იაპონია, ასევე გასცემენ კრედიტებსა და გრანტებს, კაშხლების ასაშენებლად.

მას მერე რაც კაშხალი აშენდება, იმის და მიუხედავად, რამდენად მომგებიანია ფინანსურად პროექტი, მთავრობა ვალდებულია, უკან დააბრუნოს სესხი.

### თავი 2. კაშხლების მშენებლობის და ექსპლუატაციის შედეგები

მალისემელო დიდიან ტაუ, ლესოტოში (აფრიკა) მცხოვრები ქალბატონი, თავიდანვე წინააღმდეგი იყო მის მიწაზე დიდი კაშხლის მშენებლობის. კაშხლის მშენებლებმა ის დაარწმუნეს, რომ რამოდენიმე ადამიანის გადასახლების ხარჯზე, უამრავი ადამიანი უკეთესად იცხოვრებდა, ხოლო მისი თემი მიიღებდა შესაბამის კომპენსაციას, სასმელი წყლით მომარაგებას, აშენებოდა ახალი სკოლები და საცხოვრებელი სახლები.

როგორც შემდგომ აღმოჩნდა, დაპირებები არ შესრულდა. “ჩვენ ვერ მივიღეთ საკმარისი კომპენსაცია ჩვენი მიწებისთვის, რაც არამარტო ჩვენი შვილების, არამედ მომავალი თაობების დაღუპვასაც ნიშნავს, რადგან მათ არანაირი საარსებო წყარო აღარ ექნებათ”, განაცხადა მელისემელომ.

ეს ისტორია, სამწუხაროდ, ასახავს 40-დან 80 მილიონამდე იძულებით გადასახლებული ადამიანის ბედს. ამ ადამიანების უმეტესობა დღეს კიდევ უფრო გაჭირვებულია, ვიდრე კაშხლების აშენებამდე, დღეს განადგურებულია მათი საარსებო გარემო, კულტურა და თემები, რომლებშიც ისინი ცხოვრობდნენ.

დღესდღეობით დიდი კაშხლების მშენებლობის გამო, წყლითაა დაფარული ცხოველთა რამოდენიმე

მაღლე მნიშვნელოვანი საარსებო არეალი და ნაყოფიერი სახნავ-სათესი მიწები; დატბორვის შედეგად განადგურდა მდინარეებში საარსებო გარემო. ყოველივე ამან გამოიწვია თევზების, ცხოველებისა თუ მცენარეთა ზოგიერთი სახეობების გადაშენება.

**2.1 კაშხლების ზეგავლენა ადამიანებსა და გარემოზე**

კაშხლებს დამანგრეველი ზემოქმედება აქვთ ადგილობრივ მოსახლეობაზე. ოჯახები, რომლებიც ასამენებელი კაშხლის რეზერვუარის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, კარგავენ სახლებს, მიწებს და საარსებო გარემოს. გადასახლების შედეგად, თემები ხშირად აღარ არიან ერთად დასახლებულნი, რის გამოც მათი მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდება.

წყლის უზარმაზარი რეზერვუარები ანადგურებენ ცხოველთა და მცენარეთა საარსებო გარემოს. ტყეები, ჭაობები და მდელოები იფარება წყლით, რაც ყოფს ცხოველთა ჰაბიტატებს და აბრკოლებს მათ სამიგრაციო გზებს.

რეზერვუარები ქმნიან ჯანმრთელობის პრობლემებს. იზრდება ისეთი დაავადებების შემთხვევათა რიცხვი, როგორცაა მალარია და შისტოსომოზი (დაავადება, რომელსაც მდინარეებში, ტბებსა და არხებში გავრცელებულ გარკვეული სახის პარაზიტულ ჭიასთან კონტაქტი იწვევს), რადგან რეზერვუარები წარმოადგენენ კოლოებისა და სხვა დაავადებების გადამტანი ორგანიზმების ადგილსამყოფელს.

კაშხლები და რეზერვუარები იღებენ წყალს, რომელსაც ადგილობრივი ფერმერები და მეთევზეები მოიხმარენ და აწვდიან წყალს და ელექტროენერგიას მათ ვისაც ამ მომსახურებისთვის საფასურის გადახდა შეუძლიათ.

დიდი კაშხლები ანადგურებენ თევზსა და მეთევზეობას. კაშხლის ზედა ბიეფში (კაშხლის ზემოთ მდებარე მდინარის კალაპოტი, რომელიც მათ შორის, მოიცავს რეზერვუარსაც) თევზის სახეობების შემცირება გამოწვეულია კაშხლების მიერ თევზების სამიგრაციო გზების ბლოკირებით. შედეგად, ერთის მხრივ, მცირდება თევზის აღწარმოება, ხოლო მეორეს მხრივ, წყდება კაშხლის ქვედა ბიეფში თევზის გადაადგილება. ამასთან, კაშხლის ქვედა ბიეფში მნიშვნელოვნად იცვლება დინება და წყლის ხარისხი, რაც თევზის სახეობებზე განადაგურებლად მოქმედებს. ყოველივე ეს კი უარყოფით ზემოქმედებას ახდენს მეთევზეობაზე ანუ იმ ხალხზე, რომელთა საარსებო წყაროს თევზჭერა წარმოადგენს.

დიდი კაშხლები აზინძურებენ წყალს. კაშხლის ქვედა ბიეფში, კაშხლების გამო არსებულმა დაბალი ხარისხის წყალმა, შეიძლება მოსახლეობასა და საქონელში დაავადებების გავრცელება გამოიწვიოს.

დიდი კაშხლები ამცირებს მოსავალს. დიდი კაშხლების მშენებლობისას იძირება არამარტო საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, არამედ ფერხდება მდინარის მიერ იმ ნატანის მდინარის ქვედა დინებაში ჩამოტანა, რაც ასე მნიშვნელოვანია მიწების მინერალური სასუქით გამდიდრებისთვის; შედეგად კი, მცირდება მოსავალი. გარდა ამისა, არსებობს იმის შესაძლებლობაც, რომ რეზერვუარიდან გამოშვებულმა წყალმა წარეცხოს მდინარის ნაპირების მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

**2.2 იძულებით განსახლებასთან დაკავშირებული რეალობები**

კაშხლების ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოციალური ზემოქმედების სახეა მოსახლეობის იძულებითი გადასახლება თავისი საცხოვრებელი ადგილებიდან. რეზერვუარები წყლით ფარავს იმ ტერიტორიებს, სადაც ხალხი ცხოვრობს, მოჰყავს მოსავალი, მისდევს თევზჭერას და პირუტყვის მოშენებას. ზოგჯერ იმ ადგილზე, სადაც რეზერვუარი უნდა მოეწყოს, ცხოვრობენ ოჯახები, რომლებიც მრავალი საუკუნის განმავლობაში ამ ადგილთან ისტორიულად არიან დაკავშირებულნი. მიუხედავად ამისა, ეს არ უშლის ხელს მთავრობებსა და კაშხლების მშენებლებს, იძულებით დაატოვებინონ მათ სახლ-კარი და მიწები.

იძულებითი გადასახლება იწვევს გადასახლებული მოსახლეობის უდიდესი ნაწილის კიდევ უფრო გადატაკებას. მათ ექმნებათ პრობლემები საკვებისა და შემოსავლის მოპოვებასთან დაკავშირებით. სოფლის მოსახლება შეიძლება გადასახლონ დიდ ქალაქებში, სადაც მათ მოუწევთ მათთვის უცხო ცხოვრების წესთან შეგუება.

იძულებითი გადასახლება დამანგრეველად მოქმედებს თემებსა და მათ კულტურაზე. ხშირად ხდება სოფლების გაყოფა, რაც განაპირობებს იმას, რომ მეგობრები და ნათესავები ერთმანეთთან ახლოს

ადარ ცხოვრობენ. ხშირად კაშხლის მშენებლობის მსხვერპლნი მკვიდრი მოსახლეობა და ეთნიკური უმცირესობები ხდებიან. ხშირია კულტურის ძეგლებისა და სასაფლაოების ჩაძირვა, რაც მოსახლეობას მამაპაპისეულ მიწასთან კავშირს საბოლოოდ უკარგავს.

ლაოსში ერთ-ერთი კაშხლის მშენებლობის შედეგად გადასახლებული მამაკაცი ასე იხსენებს ახალ ადგილზე გადასახლების პროცესს: „ზოგი ფიქრობს, რომ დაავადდა გადასახლების შედეგად. ეს აღარ არის ჩვენი მიწა, ეს უფრო სხვა ქვეყანაში გადასახლებას ჰგავს. ჩვენ აღარ გვაქვს სამშობლოს და სახლის შეგრძნება“.

კაშხლების მშენებლობის შედეგად იძულებით გადასახლებული მოსახლეობა ხშირად განიცდის როგორც ემოციურ, ისე ფიზიკურ პრობლემებს. გადასახლების შემდეგ ხშირად იზრდება ალკოჰოლიზმის, დეპრესიის, ოჯახური ძალადობის, დაავადებებისა და თვითმკვლელობათა რიცხვიც კი.

**გადასახლებასთან დაკავშირებული პრობლემები**

კაშხლების გამო გადასახლებულებს, დატოვებული სახლის სანაცვლოდ, შესაძლოა დაურიგდეთ ახალი სახლები. ისინი შესაძლოა დაასახლონ უკვე არსებულ სოფლებში ან საგანგებოდ, კაშხლების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული თემებისთვის აშენებულ ახალ სოფლებში.

კაშხლების მშენებლები ხშირად პირდებიან ხალხს, რომ მათი ცხოვრება გაცილებით უკეთესი იქნება გადასახლების შემდეგ, რადგან ისინი დასაქმდებიან, მიიღებენ ახალ დიდ სახლებს, უზრუნველყოფილი იქნებიან ელექტროენერგიითა და წყლით. თუმცა, როგორც წესი, ეს დაპირებები არ სრულდება. პრაქტიკაში, ახალი სახლები დაპირებულზე გაცილებით პატარა და ცუდად აშენებულია. ამასთან, მოსახლეობა ხშირ შემთხვევაში ვერ იხდის ელექტროენერგიისა და წყლის გადასახადს. ხშირად, სანაცვლოდ მიღებული მიწები უფრო პატარა და ნაკლებნაყოფიერია. შესაბამისად, ხშირია შემთხვევები, როდესაც ახალ მიწაზე ვერ მოჰყავთ ისეთივე მოსავალი, როგორც უწინ, შესაბამისად, მცირდება შემოსავალი და მძიმდება ოჯახების ყოფა-ცხოვრება.

**ჩანართი 2. ჰუაი ჰოს ჰიდროელექტროსადგური სამხრეთ ლაოსში**

ჰუაი ჰოს ჰიდროელექტროსადგური 1998 წელს (მშენებლობის დასრულების წელი) სამხრეთ ლაოსში კორეულმა კომპანია „Daewoo“-მ ააშენა. პროექტს დამანგრეველი ზეგავლენა ჰქონდა სამხრეთ ლაოსში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობის ორ ჯგუფზე. დაახლოებით 2000 ადამიანი იქნა იძულებით გადასახლებული კაშხლის რეზერვუარისა და მიმდებარე ტერიტორიებიდან ისეთ ადგილებში, სადაც სასოფლო-სამეურნეო მიწისა და სასმელი წლის ნაკლებობა იყო. გადასახლების შედეგად, ადამიანებმა გაწყვიტეს კავშირი მამა-პაპურ მიწებთან და თავის თემებთან; მათ ასევე დაივიწყეს ტრადიციული წეს-ჩვეულებები.

კვლევების თანახმად, გადასახლებულთა უმრავლესობამ ახალი დასახლების ადგილზე მიიღო არასაკმარისი რაოდენობის უხარისხო მიწა; ამასთან, მიწის გამოყენება შეუძლებელია იმავე მიზნებისთვის, რომლისთვისაც მოსახლეობა მიწას თავის პირვანდელ საცხოვრებელ ადგილზე იყენებდა. გადასახლებულებს ასევე შეეზღუდათ ტყის არამრექნულ პროდუქტებზე (სოკო, კენკრა და სხვ.) ხელმისაწვდომობა, მაშინ როდესაც პირვანდელ საცხოვრებელ ადგილზე ისინი ხშირად სწორედ ამ პროდუქტების ხარჯზე საკვების ნაკლებობას უმკლავდებოდნენ. მაშინ, როდესაც გადასახლებულთა 90%-ს პირვანდელ საცხოვრებელ ადგილზე მოჰყავდა ოჯახისთვის საკმარისი ბრინჯი, ახალ ადგილზე გადასახლების შემდეგ აღმოჩნდა, რომ გადასახლებული ოჯახების 95% განიცდის ბრინჯის ნაკლებობას (საკმარისი ბრინჯი მხოლოდ სამი თვის განმავლობაში აქვთ).

გადასახლებულები ასევე განიცდიან სუფთა წყლის ნაკლებობას. გადასახლებულთა ყველაზე დიდ დასახლებაში 1750 კაცისთვის მხოლოდ ორი ჭაა. შედეგად მოსახლეობა იძულებულია ერთი ან ორი კილომეტრი დაფაროს ყოველდღიურად წყლის ასაღებად. შედეგად, ცუდი კვებისა და წლის ნაკლებობის გამო, ადამიანებს ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნათ.

გადასახლებულთა დიდ ნაწილს სურს თავის პირვანდელ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება, მაგრამ ხელისუფლება მათ ამის საშუალებას არ აძლევს. უფრო მეტიც, გადასახლების შემდეგ ხელისუფლების არცერთი წარმომადგენელი არ მისულა და არ დაინტერესებულა გადასახლებულთა პრობლემებით ან მათი გადაჭრის გზებით.

„მე და ჩემს ნათესავებს არ გვსურს აქ ცხოვრება“ - ამბობს ერთ-ერთი გადასახლებული - „ჩვენ გვაიძულებენ აქ ცხოვრებას, ჩვენ კი, წინააღმდეგობას ვერ ვუწევთ. გვენატრება მამა-პაპისეული მიწები, სადაც ასწლეულების განმავლობაში ბედნიერად ვცხოვრობდით“.

**კომპენსაციის მიღება**

კომპენსაცია გადასახლების შედეგად მიღებული დანაკარგის ფულადი ან სხვა სახის ანაზღაურებაა. როდესაც ოჯახი იღებს ფულად კომპენსაციას, ხშირად მიღებული თანხა არ არის საკმარისი ახალ ადგილზე ცხოვრების ხელახლა დასაწყებად და თავის გადასარჩენად. ასევე, ხშირად, როდესაც ადამიანი არ არის მიჩვეული დიდი ოდენობის ნაღდი ფულის ქონას, ის უყარათოდ ხარჯავს მიღებულ ფულად კომპენსაციას.

მრავალი ადამიანი საერთოდ ვერ იღებს კომპენსაციას; ეს სხვადასხვა მიზეზის გამო შეიძლება მოხდეს: მთავრობამ შესაძლოა ჩათვალოს, რომ ადამიანს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება არ აქვს, ვინაიდან მას არ გააჩნია საკუთრების დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტაცია. შესაძლოა, თემის წევრები ერთობლივად სარგებლობდნენ მიწით ან ადამიანები სარგებლობდნენ მიწით, რომელიც სხვას ეკუთვნის. შესაძლოა, მთავრობამ ისიც კი იფიქროს, რომ ესა თუ ის დასახლება ან კომლექსი, საერთოდ არ ექცევა კაშხლის ზეგავლენის ქვეშ.

**ჩანართი 3. გადასახლება უფლებების გარეშე - „სამი ხეობის კაშხალი“ ჩინეთში**

ჩინეთში განხორციელებული „სამი ხეობის კაშხალი“ დღემდე ითვლება მსოფლიოში უდიდეს და ყველაზე სადავო ჰიდროენერგეტიკულ პროექტად.

„სამი ხეობის კაშხლის“ პროექტი ინიცირებულ იქნა მაო ძედუნის მიერ ჯერ კიდევ 1950-იან წლებში; პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა 1986 წელს დაიწყო. ჩინეთის წამყვანი მეცნიერები შეშფოთებას გამოთქვამდნენ პროექტის გარემოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის გამო, მაგრამ 1989 წელს ტიანანმენის მოედანზე განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, ისინი უბრალოდ გააჩუმეს. 1992 წელს ჩინეთის ეროვნულმა სახალხო კონგრესმა (ჩინეთის პარლამენტმა) ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მოიწონა პროექტი.

კაშხლის მშენებლობა 1994 წელს დაიწყო და 12 წლის შემდეგ დასრულდა. 18 200 მგტ სიმძლავრის ჰესი ექსპლუატაციაში შევიდა 2008 წელს; კაშხლის რეზერვუარი კი, სრულად ერთი წლის შემდეგ შეივსო. ამჟამად მიმდინარეობს ექვსი დამატებითი გენერატორის დამონტაჟება. პროექტის ამ გაფართოების დასრულება 2012 წლისთვისაა დაგეგმილი.

„სამი ხეობის კაშხალი“ აშენდა მჭიდროდ დასახლებულ მდინარე იანძის ხეობაში. ოფიციალური მონაცემების თანახმად, პროექტის გამო, დაიტბორა 13 ქალაქი, 140 დაბა და 1350 სოფელი; გადასახლებულ იქნა 1.3 მილიონი ადამიანი. პროექტის დაწყებისას ხელისუფლება დაპირდა მიწათმოსარგებლებს, რომ ისინი მიიღებდნენ მიწას, ხოლო ქალაქის მოსახლეობა - ახალ სამუშაო ადგილებს. ვინაიდან ჩინეთში სასოფლო-სამეურნეო მიწები ცოტაა, ხელისუფლებამ მიწათმოსარგებლების მთიან რეგიონებში დასახლება დაიწყო, თუმცა აქაც მოგვიანებით ხელისუფლება იძულებული გახდა, შეეჩერებინა დასახლების პროცესი ეროზიის გამოსაკვლევად. გადასახლების დაწყებიდან მოკლე ვადაში, ბევრი საწარმო, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ნაცვლად, დაიხურა.

2009 წლის ზაფხულში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ადამიანები, როგორც წესი, უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მიღებული კომპენსაციის თაობაზე. ისინი ამბობდნენ, რომ მიღებული თანხა არ იყო საკმარისი ახალი სახლების შესაძენად. ზოგმა ქალაქმა, როგორც მაგალითად, ახალმა ფენგდუმ, გადალახა გადასახლების შოკი და აღადგინა ეკონომიკა; ქალაქების მეორე ნაწილი კი, აშენებიდან სულ რამოდენიმე წლის შემდეგ, უკვე დაძველებულად გამოიყურებოდა. ქალაქ იუნანგის 181 საწარმოდან მხოლოდ 45-მა შეძლო განვითარება, საწარმოთა უმრავლესობა გადასახლებიდან მოკლე ხანში დაიხურა. 20 ათასამდე ადამიანმა დაკარგა სამუშაო. ბევრს მოუწია საკუთარი დანაზოგის დახარჯვა ახალი სახლის შესაძენად.

გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა საკომპენსაციო და გადასახლების თანხების ნაწილი მიითვისეს; გამოთვლების თანახმად, მითვისებულ იქნა გადასახლების ფონდის 12 პროცენტი. „კაშხალმა ჩვენი ცხოვრება დაანგრია, თანამდებობის პირებმა კი ისარგებლეს და ჯიბეები გაისქელეს“, უთხრა ერთ-ერთმა გადასახლებულმა „Financial Times“-ს.

ჩინეთის მთავრობამ ასობით თანამდებობის პირის საქმე გამოიძია და 300-ზე მეტი დამნაშავედ ცნო. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ ძალა გამოიყენა იმ ხალხის მიმართ, ვინც სამართლიან მოპყრობას მოითხოვდა და აპროტესტებდა ადამიანის უფლებათა დარღვევას.

პროექტით გამოწვეული გადასახლება ამით არ დამთავრებულა; 2020 წლისთვის დამატებით 530 ათასი ადამიანი უნდა გადასახლდეს თავისი ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილიდან. საქმე იმაშია, რომ ყოველწლიურად „სამი ხეობის კაშხლის“ რეზერვუარში წყლის დონე იცვლება ზღვის დონიდან 145-175 მეტრის ფარგლებში. წყლის დონის ასეთი ცვალებადობა იწვევს მდინარე იანძის ხეობის ფერდობების დესტაბილიზაციას და ზრდის ეროზიისა და მეწყერების რისკს. ერთ-ერთი ადგილობრივი კვლევის თანახმად, რეზერვუარის პირველად შევსებიდან ხუთი თვის ვადაში დაფიქსირდა 150-ზე მეტი საშიში გეოლოგიური მოვლენა. ეროზიის ზეგავლენის ქვეშ ექცევა რეზერვუარის საერთო ფართობის ნახევარზე მეტი; მდინარის ნაპირები 178 კმ სიგრძის მონაკვეთზე ჩამოშლის რისკის ქვეშაა.

### 2.3 ზეგავლენა კაშხლის ქვედა ბიეფის მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობაზე

კაშხლები, იმ მილიონობით ადამიანის საარსებო გარემოზეც ახდენენ უარყოფით ზეგავლენას, რომლებიც კაშხლის ქვედა ბიეფის მიმდებარედ ცხოვრობენ.

კაშხლები ძლიერ უარყოფით ზეგავლენას ახდენენ **თევზჭერაზე**, რადგან კაშხლის გამო, იცვლება წყლის დინება და ბრკოლდება თევზების გადაადგილება კაშხლის ზედა ბიეფში არსებულ გამრავლების ადგილებამდე და საბინადრო გარემომდე. აღნიშნულის გამო, მდინარეში თევზის სახეობები მცირდება ან საერთოდ ქრება. შედეგად მოსახლეობა კარგავს საკვების და შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს.

წყლის დინების ცვლილება იწვევს **მოსავლის მნიშვნელოვან შემცირებასაც**. კაშხლების ქვედა ბიეფში ხშირად ადგილი აქვს მდინარეთა ნაპირების ეროზიას და ნაპირების სიახლოვეს განლაგებული ნაკვეთების წარცხვას. გარდა ამისა, მდინარეს მოაქვს მნიშვნელოვანი ნატანი, რომელიც აუცილებელია ნიადაგის გამდიდრებისათვის; კაშხლები კი, ხელს უშლიან ნატანის მდინარის ქვედა დინებაში (კაშხლის ქვედა ბიეფში) მოხვედრას. ნიადაგში ამ ნივთიერებების ნაკლებობის გამო, მცირდება მიღებული მოსავლის რაოდენობა, ხალხი კი, იძულებული ხდება იყიდოს და გამოიყენოს ქიმიური სასუქი ნიადაგის გასამდიდრებლად. თუ, ეს ყველაფერი ძვირი ჯდება, ადამიანები იძულებული ხდებიან, შეწყვიტონ მიწათმოქმედება.

**სუფთა წყლის ნაკლებობა** კაშხლებთან დაკავშირებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. კაშხლის გამო, წყალი შეიძლება დაბინძურდეს კაშხლის ქვედა ბიეფში, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ადამიანებისა და ცხოველების დაავადება დალევის ან ბანაობის შედეგად. ნაკლები წყალი რჩება სასოფლო-სამეურნეო მიწების ირიგაციისათვისაც.

კაშხლების ოპერატორები ზოგჯერ რეზერვუარებიდან **წყალს გაუფრთხილებლად უშვებენ**, რაც მდინარეში წყლის დონის უეცარ მატებას იწვევს. ამას, შესაძლოა, მოჰყვეს არამართო მოსახლეობის კუთვნილი ნაგებობისა თუ სათევზაო მოწყობილობების დაკარგვა, არამედ ადამიანთა მსხვერპლი.

#### ჩანართი 4. თუ შეიტყვეთ, რომ თქვენს მახლობლად კაშხლის მშენებლობა იგეგმება...

დაფიქრდით, როგორ შეიცვლება თქვენი და თქვენი ოჯახის ცხოვრება, რა გავლენას იქონიებს კაშხლის აშენება თქვენი ოჯახის შემოსავალზე, საარსებო გარემოზე, კულტურაზე და ზოგადად, თქვენს თემზე.

დასვით შემდეგი კითხვები:

- როგორ ზეგავლენას იქონიებს კაშხალი თქვენს თემზე, სოფელზე, ქალაქზე?
- მოგიწევთ, თუ არა გადასახლება?
- რა ზეგავლენას იქონიებს კაშხალი თქვენს საარსებო გარემოზე, მაგალითად, თევზჭერის ან მიწათმოქმედების შესაძლებლობებზე?
- გთავაზობენ, თუ არა კომპენსაციას მოყენებული ზიანისთვის (ან გადასახლების გამო) და როგორს?
- რა ფორმით (მაგ., წერილობით, ზეპირსიტყვიერად), სად და როდის შეუძლია გამოხატოს კაშხლის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მოსახლეობას თავისი მოსაზრებები და მოთხოვნები?

### თავი 3. საერთაშორისო გამოცდილება საზიანო კაშხლების წინააღმდეგ

მსოფლიოში მილიონობით ადამიანი იბრძვის საზიანო კაშხლების მშენებლობის წინააღმდეგ: მეთევზეები - პაკისტანში, ფერმერები - ტაილანდში, მკვიდრი მოსახლეობა - გვატემალაში, უნივერსიტეტის პროფესორები - იაკონიაში, ადამიანის უფლებების დამცველები - უგანდაში. ისინი იბრძვიან მოსახლეობის საარსებო წყაროს და ბუნებრივი რესურსების დასაცავად; იბრძვიან, რათა ხალხს ჰქონდეს იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ ცხოვრებაზე.

ეს ძალისხმევა გაცილებით ეფექტური მამინ ხდება, როდესაც ადამიანები ერთიანდებიან საერთო პრობლემის გადასაჭრელად. დღეს მსგავსი გაერთიანებები არსებობს ლათინურ ამერიკაში, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, სამხრეთ აზიაში, ევროპასა და აფრიკაში. მათში გაერთიანებულნი არიან კაშხლების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობა, სამოქალაქო მოძრაობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მკვლევარები და სხვა ჯგუფები. ხალხი ამ ჯგუფებს იყენებს ინფორმაციის გასაზიარებლად, ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზებისთვის და თავისი უფლებების დასაცავად.

კაშხლების შესახებ ორი საერთაშორისო შეხვედრა მოეწყო, სადაც აქტივისტებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება და შეიმუშავეს საზიანო კაშხლების საწინააღმდეგო სტრატეგიები. პირველი შეხვედრა 1997 წელს ბრაზილიაში შედგა, სადაც 20 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა, ხოლო მეორე შეხვედრა გაიმართა 2003 წელს ტაილანდში სადაც 61 ქვეყნის 300 მონაწილე შეხვდა ერთმანეთს. დროთა განმავლობაში საზიანო კაშხლების წინააღმდეგ მოძრაობა გაიზარა და გაძლიერდა. მიღწეულია გარკვეული წარმატებებიც:

**დღეს გაცილებით ნაკლები კაშხალი შენდება** - ზოგ შემთხვევაში, საერთაშორისო მოძრაობამ შეძლო კაშხლების მშენებლობის შეჩერება. დღევანდელი მონაცემებით, დღეს გაცილებით ნაკლები კაშხლები შენდება, ვიდრე ადრე.

**ბევრი კაშხლების დემონტაჟი** - აშშ-სა და ევროპაში უკვე დაწყებულია იმ კაშხლების დემონტაჟი, რომელიც მრავალი წლის წინ იყო აშენებული. საფრანგეთში, მაგალითად, მდინარე ლუარაზე რამოდენიმე მცირე კაშხლის დემონტაჟის შემდეგ მდინარემ აღიდგინა დინების ბუნებრივი რიტმი. ორაგულმა და სხვა თევზებმა კვლავ დაიწყეს თავისუფლად ცურვა მდინარეში.

**კაშხლების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის უფლებები გათვალისწინებულია** - ერთობლივი კამპანიების შედეგად, მრავალმა ადამიანმა მიიღო უკეთესი კომპენსაცია, მრავალმა შეძლო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა, ზოგმა კი მიიღო საირიგაციო წყალი და ელექტროენერჯია.

კაშხლების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის და მათი მოკავშირეების - ადამიანის უფლებათა დამცველი და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით შედეგად, დღეს არსებობს საერთაშორისოდ აღიარებული სახელმძღვანელო წესები. ეს წესები შეიმუშავა **კაშხლების მსოფლიო კომისიამ**. კომისიის თანახმად, კაშხალი არ შეიძლება აშენდეს კაშხლის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის თანხმობის გარეშე. კაშხლების მშენებლებმა მოსახლეობასთან უნდა დადონ სამართლებრივი შეთანხმებები (ხელშეკრულებები) კომპენსაციების შესახებ. თუ კონტრაქტები არ შესრულდება, დაზარალებულ მოსახლეობას უნდა ჰქონდეს საშუალება მშენებლების წინააღმდეგ აღძრას სარჩელი. მიუხედავად იმისა, რომ მრავალ სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ უღიარებია სახელმძღვანელო წესები ეროვნული კანონმდებლობის დონეზე, კაშხლების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობა უკვე იყენებს სახელმძღვანელო წესებს თავისი უფლებების დასაცავად.

**კაშხლების პროექტებისთვის გამოიყოფა ნაკლები თანხები** - დიდი კაშხლების ასაშენებლად დიდი ფინანსებია საჭირო, რის გამოც ლათინური ამერიკის, აფრიკის, აზიისა და სხვა ქვეყნების მთავრობები იძულებულნი არიან ისესხონ ფული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და კომერციული ბანკებისაგან. ოციოდე წლის წინ ეს ბანკები დიდ თანხებს გასცემდნენ კაშხლების ასაშენებლად. დღეს, დიდი კაშხლების წინააღმდეგ მიმართული ძლიერი ოპოზიციური მოძრაობის შედეგად, ისინი ასეთ პროექტებში სულ უფრო და უფრო ნაკლებ თანხებს აბანდებენ; ეს კი ურთულესს მთავრობებს დიდი კაშხლების მშენებლობის ამოცანას.

**წარმატებები... მაგრამ კაშხლები, კვლავ უქმნიან საფრთხეს თემებს**

მიუხედავად იმისა, რომ საზიანო კაშხლების წინააღმდეგ ბრძოლაში მრავალი წარმატება იქნა მიღწეული, ბევრი რამ ჯერ კიდევ გასაკეთებელია. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მთავრობები, ბანკები და კომპანიები კვლავ ცდილობენ საზიანო კაშხლების მშენებლობას. მრავალი ადამიანი კვლავ დგას საფრთხის წინაშე, დაკარგოს საკუთარი სახლი თუ მიწა. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ გაძლიერდეს მოძრაობა საზიანო კაშხლების წინააღმდეგ; ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია, ერთობლივი მუშაობა, ერთმანეთის მხარდაჭერა და ერთმანეთისგან იმის სწავლა, თუ როგორ უნდა იქნეს დაცული კაშხლების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის უფლებები. რაც უფრო მძლავრია საზიანო კაშხლების მიმართ ხალხის წინააღმდეგობა, მით უფრო ურთულდებათ მთავრობებსა და კომპანიებს კაშხლების მშენებლობის დაწყება.

**თავი 4. როგორ ვიმოქმედოთ?**

თქვენი უფლებების დასაცავად მრავალი რამის გაკეთება შეგიძლიათ. თავდაპირველად აუცილებელია, შეგროვდეს ინფორმაცია დაგეგმილი კაშხლის პროექტის და კაშხლის მშენებლობით გამოწვეულ შესაძლო შედეგებზე. ამის შემდეგ, უნდა ჩამოაყალიბოთ, რა მიზანს გასურთ მიღწიოთ და როგორ, რა საშუალებებით. შემდეგ კი, გადახვიდეთ კონკრეტული ქმედებების განხორციელებაზე. აღწერილ პროცესს ხშირად კამპანიას უწოდებენ.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ კამპანია დაიწყოს რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე. კამპანიის პროცესში შეიძლება გაატაროთ ისეთი მნიშვნელოვანი ქმედებები, როგორცაა ინფორმაციის მიღება და გავრცელება, თემის გაერთიანება ერთობლივი ძალისხმევით, ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესაძლებლობების გამოვლენა და სხვა.

ზოგიერთ ქვეყანაში კაშხლების წინააღმდეგ კამპანიის ორგანიზება და დაგეგმილი პროექტის გაკრიტიკება შესაძლოა გარკვეულწილად სახიფათო იყოს, როგორც აქტივისტებისთვის, ისე მათი ოჯახის წევრებისთვისაც; ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ კამპანიის დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნეს ყველა რისკი.

**4.1 კამპანიის დაგეგმვა****❖ ინფორმაციის შეგროვება**

ძალზე მნიშვნელოვანია იმის გააზრება, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს კაშხალმა ადგილობრივ მოსახლეობაზე და გარემოზე. ინფორმაციის შესაგროვებლად შესაძლებელია, გამოკითხულ იქნეს, ადგილობრივი მაცხოვრებლები, ასევე, სათანადო დახმარების გაწევა შეუძლიათ არასამთავრობო ორგანიზაციებს, უნივერსიტეტის მკვლევარებსა თუ სხვა ჯგუფებსაც. ქვემოთ მოყვანილია კითხვები, რომლებსაც უნდა გაეცეს პასუხი კამპანიის დაგეგმვისას:

- რომელი სოფლები და ტერიტორიები მოყვება კაშხლისა და რეზერვუარის მშენებლობის ზეგავლენის ქვეშ?
- რამდენ ადამიანს მოუწევს გადასახლება?
- რამდენი ადამიანი დაკარგავს თევზჭერის და/ან მიწათმოქმედების შესაძლებლობებს?
- რა ღირებულებისაა ის მიწა, მოსავალი, სახლები და/ან თევზის რესურსი, რომლებსაც დაკარგავს ხალხი კაშხლის მშენებლობის შედეგად?
- რა ოდენობის კომპენსაცია ან გადასახლების რა ალტერნატივა იქნა შეთავაზებული მოსახლეობისთვის?
- ვინ აპირებს კაშხლის მშენებლობას? მთავრობა, კერძო კომპანია, თუ ორივე?
- ვინ აფინანსებს კაშხლის მშენებლობას?

**❖ თქვენი მიზნები**

კამპანიის დაგეგმვის შემდეგი ნაბიჯია მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა. აქაც აუცილებელია გაეცეს პასუხი შემდეგ კითხვებს:

- რისი მიღწევა გასურთ?

- გსურთ, თუ არა კაშხლის მშენებლობის პროექტის შეჩერება?
- გსურთ, თუ არა უკეთესი კომპენსაცია?
- გსურთ, თუ არა კაშხლის პროექტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა?

შეეცადეთ, რომ თქვენი მიზნები გაიზიაროს ადგილობრივი მოსახლეობის თითოეულმა წარმომადგენელი. ეს მიზნები შესაძლებელია გადააქციოთ მოთხოვნებად თქვენი კამპანიისთვის, მაგალითად, “შეჩერდეს X კაშხლის მშენებლობა” ან “უფრო მეტი კომპენსაცია X მოსახლეობას”.

**❖ მოკავშირეები და ოპონენტები**

კამპანიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია მოკავშირეების მოძიება. კარგად უნდა დაფიქრდეთ და შეარჩიოთ საუკეთესო მოკავშირე თქვენს კამპანიაში. წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი მხარდაჭერა გაქვთ ადგილობრივი მოსახლეობისგან, ზოგადად საზოგადოებისა თუ სხვა ჯგუფებისგან.

უნდა დაფიქრდეთ ასევე თქვენს ოპონენტებზე: ვინ არიან ისინი? როგორია მათი ძლიერი და სუსტი მხარეები? რა შეუძლიათ მათ მოიმოქმედონ თქვენს წინააღმდეგ? ოპონენტები შესაძლოა იყვნენ ადგილობრივი მოსახლეობის სხვა წევრებიც, ასევე ჩინოვნიკები, კაშხლის მშენებელი კომპანიები და დამფინანსებლები.

**❖ სამიზნე ჯგუფი**

დაფიქრდით, ვის შეუძლია მოგცეთ ის, რასაც ითხოვთ, ვინ წყვეტს კაშხლის მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს. გადაწყვეტილების მიმღებნი შეიძლება იყვნენ მთავრობის წარმომადგენლები, კაშხლის მშენებელი კომპანიები ან პროექტის დამფინანსებლები, მაგალითად, რომელიმე ბანკი. სწორედ გადაწყვეტილების მიმღებები წარმოადგენენ თქვენს სამიზნეებს. დაფიქრდით ასევე იმაზეც, თუ რომელ მიზნობრივ ჯგუფზეა უფრო ადვილი ზემოქმედების მოხდენა. თუ მთავრობა არ არის ძალიან ღია, შესაძლებელია კაშხლის დამფინანსებლებზე ზეწოლის მოხდენა უფრო ადვილი და მიზანშეწონილი იყოს.

**❖ რა შეაცვლევინებდა აზრს თქვენს სამიზნე ჯგუფს?**

დაფიქრდით, რა შეაცვლევინებდა აზრს გადაწყვეტილების მიმღებებს და დაარწმუნებდა თქვენი მოთხოვნების მხარდაჭერის აუცილებლობაში? რა უფრო ეფექტური იქნება - მაგალითად, აქციების მოწყობა, მასმედიაში სტატიების/სიუჟეტების გამოქვეყნება, თუ სამართლებრივი გზების გამოყენება (მაგალითად, სასამართლოსთვის მიმართვა)? გაითვალისწინეთ, რომ როგორც წესი, საუკეთესო შედეგი მიიღწევა ჩამოთვლილი მოქმედებების კომბინაციით. ამასთანავე, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ თქვენი მოქმედებები დროში იქნეს გაწერილი და კამპანიის თითოეულ მონაწილეს გათავისებული ჰქონდეს თავისი წილი პასუხისმგებლობა თითოეულ მოქმედებაზე.

**❖ თქვენი კამპანიისთვის საჭირო ფინანსური რესურსი**

ნებისმიერი კამპანიისთვის აუცილებელია ფინანსური რესურსი. ბევრი ჯგუფი დამოკიდებულია შემოწირულობებზე. დაფინანსების სხვა წყაროები შეიძლება იყოს სხვადასხვა ფონდები, დახმარების სააგენტოები და სხვა. ამდენად, თუ გესაჭიროებათ დაფინანსება, შეეცადეთ დაამყაროთ კავშირი უფრო დიდ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელნიც შესაძლოა, დაგეხმარონ თანხების მოძიებაში.

**4.2 მოქმედების ეფექტური სტრატეგიები**

ზოგიერთი ღონისძიება შესაძლოა ეფექტური იყოს კაშხლის პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე (როგორც დაგეგმვისას, ისე მშენებლობისას). ქვემოთ გთავაზობთ რამოდენიმე ღონისძიებას, რომელიც შეგიძლიათ თქვენი კამპანიისას გამოიყენოთ.

**❖ ორგანიზება და მობილიზება**

თქვენი კამპანიის წარმატება დამოკიდებულია მრავალი ადამიანის ერთიანობაზე. მთავრობები და კაშხლის მშენებლები ხშირად ცდილობენ შექმნან კონფლიქტური სიტუაციები იმ მოსახლეობაში, რომლის ტერიტორიაზეც დაგეგმილია კაშხლის მშენებლობა; ამიტომ ადრეულ ეტაპზე ხალხის ერთობა გაურთულებს მათ თემის წევრების დაპირისპირების ამოცანას.

ხალხის მობილიზების ერთ-ერთი გზაა ორგანიზაციის შექმნა; ასევე ორგანიზაციის (ორგანიზებული ჯგუფის) არსებობის შემთხვევაში, სასარგებლოა სხვა ორგანიზაციებთან დაკავშირება და ქსელის შექმნა, ან კაშხლებზე მომუშავე ქსელის არსებობის შემთხვევაში, მასთან დაკავშირება. სასარგებლო იქნება შეხვედრების მოწყობა, რათა დაიგეგმოს კამპანია და განხილულ იქნეს კოორდინირებული მოქმედებები. ალიანსები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მკვლევარებთან, ადვოკატებთან და ექსპერტებთან ასევე წაადგება თქვენს კამპანიას. დემონსტრაციებისა და საპროტესტო აქციების მოწყობა სასარგებლოა თქვენი კამპანიისადმი და მოთხოვნებისადმი უფრო მეტი ყურადღების მისაქცევად. ასეთი ქმედებები განსაკუთრებულ წარმატებებს მაშინ აღწევენ, თუ სამიზნეს ის ინსტიტუტები წარმოადგენენ, რომლებიც კაშხლის მშენებლობასთან დაკავშირებით იღებენ გადაწყვეტილებას. სასარგებლოა, ასევე, საჯარო შეხვედრებისა და დისკუსიების მოწყობა.

#### ❖ **ინფორმაციის გავრცელება**

თქვენი მოთხოვნების საჯაროდ გაცხადების კარგი გზაა ბროშურების, პლაკატების, ანგარიშებისა და სხვა მასალების გავრცელება, სადაც წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია კაშხლის პროექტის შესახებ, ადგილობრივ მოსახლეობასა და გარემოზე მისი პოტენციური ზეგავლენის შესახებ და სხვ. ეს ინფორმაცია შეიძლება გავრცელდეს როგორც ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მოსახლეობაში, ისე ფართო საზოგადოებაში, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამთავრობო უწყებებში.

#### ❖ **მედიასთან მუშაობა**

ფართოდ გაავრცელეთ თქვენი მოთხოვნები რადიოს, გაზეთებისა და ტელევიზიის საშუალებით. ეს დაგეხმარებათ მთავრობაზე და კაშხლის მშენებლებზე ზეგავლენის მოხდენაში. დაურეკეთ იმ ჟურნალისტებსაც, რომელთაც ადრე მსგავს თემაზე სტატიები ჰქონდათ დაწერილი და მოუყევით თქვენი კამპანიის შესახებ. მოაწყვეთ პრეს-კონფერენციები და იქონიეთ მუდმივი კავშირი ჟურნალისტებთან. თხოვეთ არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ სხვა ჯგუფებს, რომ დაგეხმარონ თქვენი მოთხოვნების ადრესატებამდე მიტანის სხვადასხვა გზების მოძიებაში.

#### ❖ **მთავრობისა და დამფინანსებლების ლობირება**

შეხვდით გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს და მოუყევით პრობლემური საკითხების შესახებ. დაარწმუნეთ როგორც ადგილობრივი, ისე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები, რათა მათ მხარი დაუჭირონ თქვენს მოთხოვნებს. ორგანიზება გაუკეთეთ თქვენი მხარდამჭერების მიერ გადაწყვეტილებების მიმღები პირებისთვის პეტიციების ან/და საპროტესტო (ან მხარდამჭერი) წერილების დაგზავნას. თუ კაშხალი დაფინანსებულია კერძო ბანკების ან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ, მაშინ თქვენი კამპანიის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია, რომ თქვენ ითანამშრომლოთ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთანაც.

#### ❖ **სამართლებრივი ქმედებები**

ზოგჯერ, კაშხლების მშენებლობის შეჩერების ან უკეთესი კომპენსაციის მიღებისთვის, მომგებიანია სასამართლოსთვის მიმართვა. იპოვეთ ადვოკატი და გამოიკვლიეთ, არღვევენ, თუ არა კაშხლის მშენებლები რაიმე კანონს. მოძებნეთ არასამთავრობო ორგანიზაციები ან ადვოკატები, რომლებიც უსასყიდლოდ დაგეხმარებიან სასამართლო დავაში.

#### ❖ **შესთავაზეთ ალტერნატივები!**

შეეცადეთ იპოვოთ ექსპერტები, რომლებიც დაგეხმარებიან კაშხლის ალტერნატივების მოძიებაში (დაწვრილებით იხ. თავი 5).

**ჩანართი 5. ბრაზილიელები პილარის კაშხლის წინააღმდეგ**

1990-იან წლებში უცხოურმა კომპანიებმა გადაწყვიტეს ბრაზილიაში, მდინარე პირანგაზე კაშხლის აშენება. კაშხლის გამო, გადასახლება მოუწევდა 133 ფერმერს, მოისპობოდა თევზჭერის შესაძლებლობები, კაშხლის ქვედა ბიევის მიმდებარედ მცხოვრები ათასობით ადამიანი კი, დაზარალებოდა მდინარეში წყლის დონის ცვლილების გამო.

ადგილობრივი მაცხოვრებლები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, უნივერსიტეტის მკვლევარები და საეკლესიო ჯგუფები გაერთიანდნენ პილარის კაშხლის წინააღმდეგ. მათ ერთობლივად დაადგინეს მათ გარემოზე და ყოფა-ცხოვრებაზე კაშხლის ზემოქმედებები. წაიკითხეს კომპანიების მიერ ჩატარებული კვლევები და აღმოაჩინეს მრავალი პრობლემური საკითხი. ეს ინფორმაცია მათ გაუზიარეს ჩინოვნიკებს, რომლებიც ასევე შემფოთებული იყვნენ გარემოზე კაშხლის ზემოქმედების გამო.

არასამთავრობო ორგანიზაციამ და მკვლევარებმა ადგილობრივი მოსახლეობას გააცნეს არსებული კვლევების შედეგები და ამგვარად მოამზადეს ისინი კაშხალთან დაკავშირებული საჯარო განხილვისათვის. ისინი ასევე დაეხმარნენ ფერმერებს, რათა შეედარებინათ მიწასთან, საარსებო გარემოსთან და რესურსებთან დაკავშირებული მონაცემები ოფიციალურ დოკუმენტებში წარმოდგენილ მონაცემებთან.

ადგილობრივი მოსახლეობა კარგად მომზადებული შეხვდა საჯარო განხილვას. ბავშვებმა წაიკითხეს ლექსები მდინარე პირანგაზე, ხოლო უფროსებმა აღმართეს პლაკატები წარწერით “Fora” (“წადით აქედან” - პორტუგალიურ ენაზე). განხილვაზე თემის ლიდერებმა დააფიქსირეს მყარი პოზიცია, რომელიც გამოხატავდა მათ შემფოთებას კაშხლის მშენებლობასთან დაკავშირებით. ადგილობრივი მოსახლეობის ზეწოლამ, კომპანიების მიერ მომზადებული გარემოსდაცვითი შეფასების დოკუმენტების გაკრიტიკებამ და ჩინოვნიკთა შემფოთებამ აიძულა კომპანიები, გაეუქმებინათ კაშხლის მშენებლობის პროექტი.

რამოდენიმე წლის წინ, როდესაც ერთ-ერთმა კომპანიამ კვლავ გადაწყვიტა ახალი კაშხლის მშენებლობა იმავე ტერიტორიაზე, ხალხი კვლავ გაერთიანდა და გამოხატა თავისი პროტესტი - ხალხმა დაიკავა ის ადგილი, სადაც კომპანია ატარებდა გამოკვლევებს მომავალი კაშხლის განსათავსებლად. 43 დღის შემდეგ კომპანიამ თავად გადაიფიქრა მშენებლობის დაწყება. საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივი მოსახლეობა კვლავ მზად არის მომავალშიც წინ აღუდგეს მშენებლობის დაწყებას.

**❖ თავად ჩატარეთ კვლევა**

ტაილანდისა და ბირმის საზღვარზე, მდინარე სალვენის გასწვრივ მდებარე სოფლების მაცხოვრებლები რამოდენიმე წელი იბრძოდნენ თავისი მთავრობების გეგმის წინააღმდეგ, აშენებინათ კაშხლები მდინარეზე. მათ გადაწყვიტეს გამოეკვლიათ და დოკუმენტურად დაედასტურებინათ, თუ როგორ იყენებდნენ ისინი (მკვიდრი მოსახლეობა) მდინარესა და მის რესურსებს. ორწელიწადნახევრის განმავლობაში 50 სოფელი აგროვებდა მონაცემებს თევზჭერასა და თევზის მეურნეობაზე, მის ტრადიციულ ფორმებზე, სამკურნალო მცენარეებზე, მებაღეობასა და ბუნებრივ რესურსებზე.

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია და მოხალისეები ეხმარებოდნენ მოსახლეობას მონაცემთა აღრიცხვასა და საბოლოო ანგარიშის დაწერაში, თუმცა, თავად კვლევა სოფლების მაცხოვრებლებმა ჩატარეს. მოსახლეობამ თავად დაადგინა თევზის, სამკურნალო და საკვები მცენარეების მრავალი სახეობა, რომელთაც ისინი მდინარესა და მდინარის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებულ ტყეებში მოიპოვებდნენ. ეს კვლევა ჩატარდა იმისათვის, რომ წარმოჩენილიყო, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მდინარე და მიმდებარე ტყეები მკვიდრი მოსახლეობის არსებობისთვის.

**ჩანართი 6. როგორ ჩავატაროთ კვლევა?**

**ნაბიჯი 1:** მოაწყვეთ შეხვედრები კვლევაში მონაწილეობის ყველა მსურველთან. დაპატიჟეთ რაც შეიძლება ბევრი ხალხი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული სოფლებიდან და ესაუბრეთ მათ იმაზე, თუ რისი გამოკვლევა გაქვთ განზრახული.

**ნაბიჯი 2:** კვლევის ჩასატარებლად აუცილებელია ჯგუფებად დაყოფა. თითოეულ ჯგუფებში ის ხალხი უნდა გაერთიანდეს, ვინც ჯგუფის მიერ შესასწავლ საკითხს კარგად იცნობს. მაგალითად, მეთევზეებმა გააკეთონ თევზჭერასთან დაკავშირებული კვლევა, მებაღეებმა - მებაღეობასთან დაკავშირებული კვლევა და ა.შ.

**ნაბიჯი 3:** შეარჩიეთ კვლევის ჩატარების მეთოდი. ქვემოთ მოყვანილია რამოდენიმე იდეა ამასთან დაკავშირებით:

**თევზჭერასთან დაკავშირებული კვლევა:** მდინარე შეიძლება დაიყოს ზონებად და მეთევზეების ჯგუფის წევრებმა გადაინაწილონ ეს ზონები შესასწავლად. შესწავლა იწყება თევზჭერით. მკვლევარ მეთევზეთა ჯგუფი იჭერს თევზებს და ადგენს თითოეული დაჭერილი თევზის სახეობას. სასარგებლოა თევზჭერის შემდეგ შეხვედრის მოწყობა მოსახლეობასთან, რათა ხალხმა ისაუბროს ამ სახეობაზე, მიგრაციის თავისებურებებზე, ზომასა და წონაზე. თუ გაქვთ ფოტოაპარატი, გადაუღეთ სურათი თითოეულ დაჭერილ სახეობას. ჩააკარით ფოტოები წიგნაკში და იქვე მიაწერეთ თქვენს მიერ შეკრებილი მთელი ინფორმაცია თითოეული თევზის სახეობის შესახებ.

**მდინარის ნაპირებზე არსებული ბაღების კვლევა:** ამ შემთხვევაშიც გამოსაკვლევი ტერიტორია შეიძლება დაიყოს ზონებად. თითოეულ ზონაში გაზომეთ და აღრიცხეთ არსებული ბაღები, ჩამოწერეთ ვინ არის ამა თუ იმ ბაღის მფლობელი, რა მოჰყავს ბაღში და როგორ იყენებენ აქ მოყვანილ ხილსა და ბოსტნეულს (მაგალითად, იყენებენ საკვებად თუ ყიდიან). თუ ხილსა და ბოსტნეულს ყიდიან, მაშინ მოინიშნეთ რეალიზაციის ფასიც.

**ნაბიჯი 4:** დააფიქსირეთ (აღწერეთ) თქვენი კვლევის შედეგები. დაფიქრდით და გადაწყვიტეთ, როგორ გამოიყენებთ მიღებულ ინფორმაციას გადაწყვეტილებების მიმღებ პირებსა და ორგანიზაციებზე ზეგავლენის მოსახდენად.

**4.3 რა შეიძლება გაკეთდეს კაშხლის მშენებლობის პროექტის თითოეულ ეტაპზე**

**ეტაპი 1: მშენებლობის დაწყების წინა პერიოდი (წინამოსამზადებელი სამუშაოების ფაზა)**

ხანგრძლივობა - 2-20 წელი ან უფრო მეტიც.

**❖ რა ხდება ამ ეტაპზე?**

კაშხლის მშენებლობის დაწყებამდე მშენებელი კომპანიები მრავალ კვლევას ატარებენ, რათა დაადგინონ, შეიძლება, თუ არა ამა თუ იმ ტერიტორიაზე კაშხლის მშენებლობა. მათ ასევე აინტერესებთ, რა ზეგავლენები შეიძლება ჰქონდეს კაშხალს. ხშირად, ამ კვლევების უმეტესობას უცხოური კომპანიები ასრულებენ, ადგილობრივი ექსპერტების დახმარებით, ან დახმარების გარეშე.

1. **წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა.** ასეთ კვლევაში დასაბუთებულია, შესაძლებელია, თუ არა კაშხლის მშენებლობა და ექსპლუატაცია. მასში, როგორც წესი, განსაზღვრულია, რამდენად შესაბამისია ადგილი კაშხლის ასაშენებლად, რამდენი ელექტროენერჯის (ან წყლის) გამომუშავებაა დაგეგმილი და კაშხლის სავარაუდო ღირებულება.
2. **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და დეტალური საინჟინრო გეგმა.** ეს კვლევა მოიცავს კაშხლის ასაშენებლად საჭირო ინფორმაციას, მაგალითად, ინფორმაციას კლიმატის, გეოლოგიის, წყლის ხარჯის და სხვა საკითხების შესახებ. თუ დაინახავთ უცხო ხალხს, რომელიც იღებენ სინჯებს, ზომავენ ანდა თხრიან მიწას, სავარაუდოდ, ისინი აკეთებენ ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას.
3. **გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ).** კაშხლის პროექტის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების

შეფასების ჩატარების შედეგად, კომპანია ამზადებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) ანგარიშს. ანგარიშში აღწერილი უნდა იყოს კაშხლის შესაძლო ზემოქმედებები გარემოზე და ამ ზემოქმედებების შერბილების ღონისძიებებიც. ხშირად, გზმ-ში არასრულფასოვნადაა შესწავლილი ზემოქმედებები და შემარბილებელი ღონისძიებებიც ასევე არასრულყოფილია. ხშირად, ასევე გზმ ანგარიშში ნათქვამია, რომ ზემოქმედებების უმრავლესობა შესაძლებელია შემსუბუქდეს და ამიტომ კაშხლის მშენებლობა დასაშვებია.

**4. განსახლების გეგმა/სოციალური განვითარების გეგმა.** ამ დოკუმენტში როგორც წესი წარმოდგენილია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ გეგმავს კაშხლის პროექტის განმახორციელებელი იმ მოსახლეობის გადასახლებას, რომელიც კაშხლის რეზერვუარის ადგილზე ცხოვრობს. ის ასევე მოიცავს ინფორმაციას პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული სხვა ადამიანებისთვის კომპენსაციების გაცემის შესახებ.

ამ კვლევებისა და გეგმების მომზადების შემდეგ, კაშხლის მშენებლები ხვდებიან მთავრობას და ბანკებს და ცდილობენ მიიღონ დაფინანსება მშენებლობისთვის.

❖ **როგორ შეგიძლიათ იმოქმედოთ ამ ეტაპზე?**

ეს საუკეთესო დროა, თუ თქვენ გსურთ კაშხლის პროექტზე ზეგავლენა. თუ ფიქრობთ, რომ კაშხალი გაანადგურებს თქვენს დასახლებას, შეეცადეთ, შეაჩეროთ ეს პროექტი. გამოიკვლიეთ, რა უფლებები გაქვთ მონიჭებული კანონმდებლობით. მოთხოვეთ მთავრობას საჯარო განხილვების გამართვა, სადაც შესაძლებლობა გექნებათ დებატები გამართოთ იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ იღებს სარგებელს და ვინ ზარალდება კაშხლის მშენებლობით. შეეცადეთ სამართლებრივი გზებით შეაჩეროთ კაშხლის მშენებლობა. ითანამშრომლეთ ექსპერტებთან, რათა შეძლოთ უკეთესი ალტერნატივების ან საკომპენსაციო გეგმების შეთავაზება და გახადეთ თქვენი ალტერნატივები / შეთავაზებები საჯარო.

თქვენი კამპანია წარმატებული რომც აღმოჩნდეს და შეაჩეროს კაშხლის მშენებლობა, მოგვიანებით მთავრობა შეიძლება კვლავ შეეცადოს მის აშენებას; ამიტომ ხანგძლივი ბრძოლისთვის ძალზე მნიშვნელოვანია თანამოაზრეებთან ძლიერი კავშირების დამყარება.

შეისწავლეთ კაშხალთან დაკავშირებული კვლევები: მოითხოვეთ, რომ კაშხლის მშენებელთა მიერ მომზადებული კვლევები გახდეს საჯარო. სთხოვეთ ექსპერტებს, რომ შეისწავლონ დოკუმენტები და გამოაქვეყნეთ მათ მიერ მომზადებული დასკვნები. ექსპერტების დასკვნები დაგემხმარებათ პრობლემური საკითხების გამოვლენაში.

ჩაატარეთ საკუთარი კვლევები: ხშირად კაშხლები შენდება ისეთი კვლევების გარეშე, რომლებიც აღწესდებიან, თუ რამდენადაა დამოკიდებული ადგილობრივი მოსახლეობა მდინარეზე და საარსებო გარემოზე. შესაბამისად კაშხლის აშენების შემთხვევაში, ადგილობრივ მოსახლეობას არ გადაეხდება სრული კომპენსაცია, ვინაიდან არ იარსებებს კვლევა, თუ რეალურად რა დაკარგა ამ ხალხმა. ამიტომ, აუცილებელია, რომ თქვენ თავად აღრიცხოთ ყოველივე და წარმოაჩინოთ, თუ რამდენად ხართ დამოკიდებული თქვენს საარსებო გარემოსა და რესურსებზე (იხ. ზემოთ ჩანართი 6. როგორ ჩავატაროთ კვლევა).

შეეცადეთ, ზეგავლენა მოახდინოთ კაშხლის პროექტის დამფინანსებლებზე: გამოიკვლიეთ, ვინ აფინანსებს კაშხალს. თუ დამფინანსებლები სხვა ქვეყნებიდან არიან, დაუკავშირდით საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს (მათ შორის, ჩვენს ორგანიზაციას - საკონტაქტო დეტალები იხილეთ ამ პუბლიკაციის ყდაზე) ან უცხო ქვეყნის არასამთავრობო ორგანიზაციებს და სთხოვეთ მათ დახმარება.


მოითხოვეთ ხელშეკრულებების დადება: თუ დათანხმდებით გადასახლებას, დარწმუნდით იმაში, რომ ხელს აწერთ შეთანხმებას / ხელშეკრულებას, სადაც სრულად არის ასახული ყველა დაპირება. დარწმუნდით, რომ ხელშეკრულების ყველა პუნქტი გესმით. არ მოაწეროთ ხელი იმას, რაც არ გესმით. მთავრობა და კაშხლის მშენებლები შეიძლება დაგპირდნენ, რომ თქვენ მიიღებთ ახალ სახლებს, უკეთეს მიწას, მაგრამ როგორც წესი, ასეთი დაპირებები იშვიათად შეესაბამება სიმართლეს.

**ეტაპი 2: მშენებლობის ფაზა**

ხანგრძლივობა: 5-15 წელი. ხშირად მშენებლობა გრძელდება დაგეგმილზე უფრო დიდხანს. ზოგჯერ ეს გამოწვეულია ტექნიკური სიძნელებით, ზოგჯერ კი, კორუფციით.

❖ **რა ხდება ამ ეტაპზე?**

კაშხლის მშენებლობა, ჩვეულებრივ, ასე გამოიყურება



1. კოფერდამი: წყალშეუღწევი ზღუდე, რომელიც შენდება მდინარეში, რათა შეიცვალოს მდინარის დინების მიმართულება.

5. მომავალი რეზერვუარი: მას შემდეგ რაც აშენდება ძირითადი კაშხალი, იწყება რეზერვუარის შევსება.

4. ძირითადი კაშხლის მშენებლობა

2. ქვედა ბიეფის კოფერდამი: ამ წყალშეუღწევე ზღუდეს აშენებენ იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ მდინარის წყლის შემობრუნება.

3. სადერივაციო არხი: მდინარე მიედინება ამ არხში სანამ აშენდება ძირითადი კაშხალი. ამავე მიზნით ზოგჯერ არხის ნაცვლად მთაში იჭრება გვირაბი.

- **კოფერდამი:** კოფერდამი - ანუ წყალშეუღწევი ზღუდე, შენდება მდინარეში, რათა შეიცვალოს მდინარის დინების მიმართულება. ეს კეთდება იმისათვის, რომ ძირითადი კაშხლის ასაშენებელი ადგილი არ დაიფაროს წყლით.
- **ქვედა ბიეფის კოფერდამი:** ზოგჯერ ამ წყალშეუღწევე ზღუდეს აშენებენ იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ მდინარის წყლის შემობრუნება და დაგროვება ძირითადი კაშხლის ასაშენებელ ტერიტორიაზე.
- **სადერივაციო არხი:** მდინარე მიედინება ამ არხში სანამ აშენდება ძირითადი კაშხალი. ამავე მიზნით ზოგჯერ არხის ნაცვლად მთაში იჭრება გვირაბი.
- **ძირითადი კაშხლის მშენებლობა:** ძირითადი კაშხლის ასაშენებლად ხშირად რამოდენიმე წელია საჭირო.
- **მომავალი რეზერვუარი:** მას შემდეგ რაც აშენდება ძირითადი კაშხალი, იწყება რეზერვუარის შევსება. ზოგჯერ მის შევსებას ერთი ან მეტი წელი სჭირდება.

❖ **როგორ შეგიძლიათ იმოქმედოთ ამ ეტაპზე?**

თქვენ შესაძლოა მაინც მიაღწიოთ წარმატებას მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობა დაწყებულია. თქვენ შესაძლოა შეაჩეროთ მშენებლობა, მიიღოთ მეტი კომპენსაცია, ან უკეთესი გახადოთ პროექტი. მნიშვნელოვანია, რომ არ შეჩერდეთ თქვენს ბრძოლაში.

**საპროტესტო ქმედებები:** ამ ეტაპზე შესაძლებელია მოეწყოს არაძალადობრივი აქციები კაშხლის მშენებლობის შეჩერების მოთხოვნით, ან თვალყური მიადევნოთ (მონიტორინგი გაუწიოთ) მშენებლობისა და განსახლების პროცესს და თუ კაშხლის მშენებლები ან მთავრობა არ აკეთებენ იმას, რაც უნდა გაეკეთებინათ, მაშინ შეგიძლიათ მოაწყოთ საპროტესტო გამოსვლები და მოითხოვოთ პირობების შესრულება.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა: თუ კაშხლის მშენებლობის პროექტი დაფინანსებულია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის (მაგალითად, მსოფლიო ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, ევროპის საინვესტიციო ბანკის, აზიის განვითარების ბანკის) მიერ, მაშინ დაამყარეთ კავშირები ეროვნულ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რათა დროულად უზრუნველყოთ პროექტის დამფინანსებლის პრობლემების შესახებ ინფორმირება. ზოგჯერ დამფინანსებელს შეუძლია ზეწოლა კაშხლის მშენებლებზე, თუ მშენებლობის ან განსახლების პროცესი სათანადოდ არ მიმდინარეობს. თუ აღმოჩნდება, რომ პროცესი სერიოზული დარღვევებით მიმდინარეობს, დამფინანსებელმა შეიძლება საერთოდ შეწყვიტოს პროექტის დაფინანსება, სანამ კაშხლის მშენებლები არ გამოასწორებენ სიტუაციას.

**ჩანართი 7. მობილიზება პატაგონიის მდინარეების დასაცავად**

პატაგონია გეოგრაფიული რეგიონია, რომელიც მოიცავს სამხრეთ ამერიკის უკიდურესი სამხრეთის საკმაოდ დიდ ნაწილს (მდებარეობს არგენტინასა და ჩილეში). რეგიონი გამორჩეულია ულამაზესი ლანდშაფტებით, სანაპირო ტენიანი ტყეებით, ფიორდებითა და მყინვარებით, მშრალი სტეპებით, ხელუხლებელი ტბებითა და ჩქარი მდინარეებით.

ჩილური და ევროპული კომპანიების კონსორციუმმა გადაწყვიტა ააშენოს ხუთი კაშხალი (ჯამში 2750 მგტ დადგმული სიმძლავრით) პატაგონიის ორ ყველაზე აუთვისებელ და მოშორებულ მდინარეზე. პროექტი ასევე ითვალისწინებს ელექტროენერჯის გადამცემი ხაზების გაყვანას 2 ათასი კმ სიგრძის მონაკვეთზე (100 მ სიგანის დერეფნით). საბოლოო მონაცემებით, გადამცემი ხაზები გაივლის ექვს ეროვნულ პარკზე, 11 ნაკრძალზე, 26 საკონსერვაციო, 16 ჭარბტენიან და 32 კერძო დაცულ ტერიტორიაზე. კაშხლების გამო, დაიტბორება 60 კვ. კმ ტერიტორია; გადასახლება მოუწევს და გადამცემი ხაზების ზეგვლენის ქვეშ მოექცევა ათასობით ოჯახი; დაიტბორება რეგიონის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და იშვიათი ტყის მასივები, სადაც გავრცელებულია გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ფლორისა და ფაუნის არაერთი სახეობა.

კაშხლების მშენებლობისთვის მომზადებული „გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ ანგარიში შესაბამისმა ორგანომ უკვე მოიწონა (დამტკიცა) 2011 წლის მაისში, თუმცა ეს გადაწყვეტილება ამჟამად სამართლებრივი დავისა და გამოძიების საგანია ჩილეს კონგრესის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში. გადამცემი ხაზების „გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ ანგარიში ჯერჯერობით არ არის დამტკიცებული, ამდენად, არც კაშხლების მშენებლობა დაწყებულა. ასევე, პროექტის განმახორციელებლებს ჯერჯერობით არ აქვთ მოპოვებული დაფინანსება პროექტის განსახორციელებლად (3.2 მილიარდი აშშ დოლარი - კაშხლების მშენებლობისთვის და 7 მილიარდი აშშ დოლარი - გადამცემი ხაზებისთვის).

ამ სადავო პროექტმა ძალზე დიდი პროტესტი გამოიწვია საზოგადოებაში. პროექტის წინააღმდეგ გამოვიდა არაერთი ეროვნული და საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაცია; მათ წამოიწყეს კამპანია სახელწოდებით „პატაგონია კაშხლების გარეშე“. შეიქმნა პატაგონიის დაცვის საბჭო, რომელიც კოორდინირებს უწყვეტ საერთაშორისო კამპანიას პატაგონიის კაშხლების წინააღმდეგ ჩილეში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ესპანეთსა და იტალიაში. 2011 წლის აპრილში ჩატარდა ეროვნული გამოკითხვა, რომელმაც აჩვენა, რომ ჩილელების 61% წინააღმდეგია პატაგონიაში კაშხლების მშენებლობის.

მშვიდობიანი ფართო საპროტესტო აქციები დაიწყო ჯერ კიდევ კაშხლების „გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ ანგარიშის დამტკიცებამდე. 2011 წლის 26 აპრილს ათასობით ადამიანი შეიკრიბა ჩილეს პრეზიდენტის შენობის წინ და ჩილეს ცხრა სხვა ქალაქში პროექტისთვის წინააღმდეგობის გამოსახატად. „გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ ანგარიშის დამტკიცების დღეს კვლავ გაიშალა ფართო საპროტესტო აქციები. ამ დამეს სანტიაგოსა და ჩილეს სხვა ქალაქების ქუჩები გაივსო პროტესტანტებით. საპროტესტო აქციები გაგრძელდა მაისშიც; 2011 წლის 28 მაისს, 50 ათასიდან 90 ათას კაცამდე გამოვიდა სანტიაგოსა და სხვა ქალაქების ქუჩებში მოწოდებით - „პატაგონია კაშხლების გარეშე“. ეს იყო, პინოჩეტის დიქტატორული რეჟიმის დამხობის შემდეგ, უდიდესი საპროტესტო აქცია ჩილეში.

პატაგონიაში კაშხლების აშენების პროექტი ეროვნული მნიშვნელობის საკითხი გახდა. ამ პროექტმა თვალნათლივ წარმოაჩინა ენერგეტიკის სფეროში დაგეგმვის გამჭვირვალობისა და განახლება და მდგრად ენერგეტიკაში ინვესტირების აუცილებლობა. პროექტი სერიოზულ პოლიტიკურ ტვირთად იქცა ქვეყნის პრეზიდენტისა და მთავრობის წევრებისთვის.

**ეტაპი 3: ექსპლუატაცია (ოპერირება)**

გრძელდება დაახლოებით 50 წელი (ზოგჯერ მეტი ან ნაკლები)

**❖ რა ხდება ამ ეტაპზე?**

კაშხლების აშენების შემდეგ იწყება მათი ექსპლუატაცია. ზოგიერთი რეზერვუარი სწრაფად ივსება მდინარის ნატანით, ზოგი სახიფათო ხდება ან საერთოდ ინგრევა. საექსპლუატაციო ვადის დასასრულს, კაშხალი საჭიროებს შეკეთებას ან დემონტაჟს.

**❖ როგორ შეგიძლიათ იმოქმედოთ ამ ეტაპზე?**

მოითხოვეთ ადდგენა: აშენებული კაშხლების შემთხვევაშიც კი, ზოგჯერ კომპანიებსა და მთავრობებს შესაძლოა დაკისრებული ჰქონდეთ კომპენსირების ვალდებულება. გამოიკვლიეთ, თქვენი შემთხვევაც ასეთი ხომ არ არის.

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, კაშხლების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მრავალი ადამიანი ითხოვს ადდგენითი ღონისძიებების გატარებას ან წარსულში მიყენებული ზიანისთვის კომპენსაციას. ისინი მოითხოვენ კაშხლების პროექტების განმახორციელებლებისგან (მთავრობები, ბანკები და კომპანიები), აიღონ პასუხისმგებლობა კაშხლების უარყოფით შედეგებზე და გადაუხადონ კომპენსაცია დაზარალებულ თემებს. მსგავსი წარმატებული მაგალითები უკვე არსებობს (იხ. ჩანართი ადდგენითი ღონისძიებების ჩატარების მოთხოვნა გვატემალაში)

მოითხოვეთ კაშხლის ექსპლუატაციის რეჟიმის ცვლილება: თქვენ ასევე შეგიძლიათ მოითხოვოთ კაშხლის ექსპლუატაციის რეჟიმის ცვლილება, რათა მდინარემ დინების ბუნებრივი რეჟიმი აღიდგინოს. ამას ეწოდება კაშხლის რე-ექსპლუატაცია. ეს შეიძლება მოიცავდეს ელექტროენერჯის გამომუშავების ცვლილებას დღის განმავლობაში, ან უფრო მეტი წყლის გაშვებას კაშხლის ქვედა ბიეფში.

**ჩანართი 8. ადდგენითი ღონისძიებების ჩატარების მოთხოვნა გვატემალაში**

სანამ გვატემალა სამოქალაქო ომში იყო გახვეული, მთავრობამ ააშენა ჩიქსოის კაშხალი (Chixoy Dam) მაია აჩის ტერიტორიაზე. მაია აჩი გვატემალას მკვიდრი მოსახლეობაა. მას შემდეგ რაც ზოგიერთმა მაცხოვრებელმა უარი თქვა გადასახლებაზე, 400 ადამიანი იქნა მოკლული 1982 წელს ნახევრად გასამხედროებული ჯარის მიერ, 3500-ზე მეტ ადამიანს კი, ძალით დაატოვებინეს საკუთარი მიწა. ათასობით ადამიანმა დაკარგა მიწა და საარსებო წყარო.

წლების განმავლობაში გადარჩენილები უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდნენ, მაგრამ მათ არასოდეს დაუკარგავთ სამართლიანობის ადდგენის იმედი და ამიტომ ეს ხალხი ითხოვს სოციალური, ფიზიკური და ეკონომიკური ზიანისთვის სათანადო ანაზღაურებას.

დაზარალებულებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მკვლევარების დახმარებით, გამოაქვეყნეს ანგარიში, რომელშიც ნათლად აისახა კაშხლის ზემოქმედება გარემოზე, ბუნებრივ რესურსებზე, სიღარიბესა და საკვებზე. კვლევამ აჩვენა, თუ რა დაკარგა მაია აჩიმ და რატომ ეკუთვნით მათ ანაზღაურება.

2004 წლის ნოემბერში მკვიდრმა მოსახლეობამ საპროტესტო გამოსვლები მოაწყო. ორი დღის განმავლობაში მოსახლეობას დაკავებული ჰქონდა კაშხლის ტერიტორია. ამის შემდეგ მთავრობა დათანხმდა კომისიის შექმნას, რომელიც დაადგენდა კომპენსაციების ოდენობას. კომისიის პირველი სხდომა 2005 წლის დეკემბერში შედგა.

„ჩვენ ვითხოვთ, ჩვენი ღირსების, კულტურისა და უფლებების მიმართ პატივისცემის ადდგენას. მოყენებული ზიანის ანაზღაურებით ჩვენი ოჯახები კვლავ შეძლებენ შესაფერის პირობებში ცხოვრებას და ისეთი პროექტების განხორციელებას, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას“ – აღნიშნა ერთ-ერთმა გადარჩენილმა.

## თავი 5. კაშხლების ალტერნატივები

მოსახლეობისათვის წყლისა და ენერჯის მისაწოდებლად და წყალდიდობებისგან დასაცავად დიდი კაშხლების გარდა, სხვა უკეთესი ალტერნატივებიც არსებობს. ეს ალტერნატივები ხშირად უფრო იაფია, სწრაფად განხორციელებადი და ნაკლებად ვნებს ხალხსა და გარემოს. მთელს მსოფლიოში, დაზარალებული მოსახლეობა და არასამთავრობო ორგანიზაციები აგროვენ ინფორმაციას დიდი კაშხლების ალტერნატივების შესახებ. ისინი ამ ინფორმაციას იყენებენ მთავრობებთან უკეთესი ალტერნატივების ლობირებისთვის. მათი მცდელობის შედეგად შეჩერდა რამოდენიმე დესტრუქციული და უსარგებლო კაშხლის მშენებლობა.

ამ თავში განვიხილავთ კაშხლების ზოგიერთ ალტერნატივას და ადგილობრივი მოსახლეობისა და არასამთავრობების მიერ ამ მიმართულებით განხორციელებულ წარმატებულ ქმედებებს. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს მიერ აქ აღწერილი ალტერნატივები დაგეხმარებათ კამპანიების წარმოებისას. ამასთან, ვინაიდან, ყველა რეგიონში სხვადასხვა საჭიროებაა (ენერჯის, წყლის და სხვ.), თქვენ თავად უნდა გადაწყვიტოთ, რომელი ალტერნატივა იქნება უკეთესი თქვენი რეგიონისათვის.

### 5.1 ენერჯის მიღების ალტერნატიული გზები

მოსახლეობის ელექტროენერჯით მომარაგება შესაძლებელია რამოდენიმე გზით: ენერჯიაზე მთლიანი მოთხოვნის შემცირებით, არსებული დანადგარებისა და გადამცემი ხაზების რეაბილიტაციით და ახალი ენერჯო-წყაროების მშენებლობით.

**ენერჯიაზე მოთხოვნის შემცირება:** ენერჯიაზე მოთხოვნის შესამცირებლად, მთავრობებს შეუძლიათ წახალისონ ქალაქების მაცხოვრებელთა, ქარხნებისა და სხვა ბიზნესის მფლობელების მიერ ენერჯის მაქსიმალურად ეფექტურად მოხმარება. მთავრობამ მოსახლეობასა და წარმოებას შეიძლება შესთავაზოს კრედიტები ენერჯოეფექტური მოწყობილობების შესაძენად, ან დაბეგროს უფრო მეტად ის კომპანიები, რომლებიც არაენერჯოეფექტურ დანადგარებს იყენებენ. ასეთი ღონისძიებები გაცილებით იაფი ჯდება და გაცილებით უკეთეს შედეგს იძლევა გარემოსთვის, ვიდრე გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, ახალი ენერჯო-ობიექტებისა და კაშხლების მშენებლობა.

**არსებული კაშხლებისა და გადამცემი ხაზების რეაბილიტაცია:** ენერჯო-ობიექტებიდან ელექტროენერჯია ქალაქებს, ქარხნებსა და მოსახლეობას გადამცემი ხაზების საშუალებით მიეწოდება. მრავალ ქვეყანაში, გადამცემი ხაზების დაბალი ხარისხის გამო, ენერჯის დანაკარგები საკმაოდ დიდია; გადამცემი ხაზების შეკეთება-რეაბილიტაციით შესაძლებელია ამ დანაკარგების შემცირება. ასევე, შესაძლებელია ელექტროენერჯის მიღების გაზრდა არსებული კაშხლებისა და ენერჯო-ობიექტების რეაბილიტაციის (გაუმჯობესების) ხარჯზე, მაგალითად, რეზერვუარების დალექილი ნატანისგან გაწმენდით, ჰეს-ის ტექნიკური გადაიარაღებით და სხვ.

**ახალი, უკეთესი ენერჯო-წყაროების მშენებლობა:** ქვემოთ ჩამოთვლილია ენერჯის მიღების სხვა, გარემოსა და მოსახლეობისთვის ნაკლებად საზიანო გზები.

**მცირე ჰიდროელექტროსადგური:** მცირე ჰიდროელექტროსადგურების კაშხლები შეიძლება იყოს მიწის, ქვის ან ხის; მათი სიმაღლე, როგორც წესი, მხოლოდ რამოდენიმე მეტრს შეადგენს. ასეთი ტიპის ჰესები ხშირად რეზერვუარის გარეშე ფუნქციონირებენ, რაც გამორიცხავს მოსახლეობის გადასახლებას. მნიშვნელოვნად არ იცვლება მდინარის დინებაც. მცირე ჰესები ხშირად კაშხლებს საერთოდ არ საჭიროებენ და მათ მართავენ თავად ადგილობრივები. ჩინეთში, ინდოეთსა და ნეპალში ათასობით მცირე ჰესი აწვდის ელექტროენერჯიას სოფლებსა და დაბებს.

**ბიოენერჯია:** ბიომასა მრავალ ქვეყანაში ენერჯის ჩვეულებრივი წყაროა. ბიომასა მიიღება მცენარეებისა და ცხოველების ნარჩენებისგან. ბიომასისგან მიღებული ბუნებრივი აირით შენობების გათბობაც კი შესაძლებელია. ბიომასის გამოყენება უფრო ფართო მასშტაბითაც არის შესაძლებელი. მაგალითად, ისეთ ქვეყნებში სადაც შაქრის ლერწამი მოჰყავთ, ელექტროენერჯის მიღება ლერწმის ღეროების დაწვით არის შესაძლებელი. ელექტროენერჯის მიღება ხის ნარჩენებისა და ბრინჯის ჩენჩოს გამოყენებითაც შეიძლება.

**მზის ენერჯია:** ელექტროენერჯიის მიღება შესაძლებელია მოხდეს სახლის სახურავებზე დადგმული მზის ელემენტებისგან. რაც უფრო დიდია მზის ელემენტები, მით მეტი ენერჯიის მიღებაა შესაძლებელი.

**ქარის ენერჯია:** ქარის ენერჯიის მიღება გაცილებით ნაკლებსაზიანოა გარემოსათვის, ვიდრე დიდი კაშხლებიდან მიღებული ენერჯია. მრავალ ევროპულ სახელმწიფოში, როგორცაა, მაგალითად, გერმანია და ესპანეთი, ენერჯიის მნიშვნელოვანი ნაწილი ქარის ტურბინებით გამომუშავდება.

**გეოთერმული ენერჯია:** გეოთერმული ენერჯიის მისაღებად დედამიწის შიგნით არსებული სითბო გამოიყენება. მიწისქვეშა წყლებისა და ორთქლის რეზერვუარები ამ სითბოს მეშვეობით თბება. შემდეგ იბურდება ჭები, რათა ცხელი გეოთერმული წყალი დედამიწის ზედაპირზე ამოიქაჩოს. აქ კი ცხელი წყალი ენერგო-ობიექტში ელექტროენერჯიად გარდაიქმნება. მაგალითად, ფილიპინებსა და სალვადორში გეოთერმული რესურსებით მთელი გამომუშავებული ელექტროენერჯიის 25% იწარმოება.

## 5.2 წყალდიდობების მართვის ალტერნატიული გზები

დიდ კაშხლებს ზოგჯერ აშენებენ წყალდიდობების მართვის მიზნით. მიუხედავად ამისა, დიდი წყალდიდობის შემთხვევაში, კაშხალმა შეიძლება კიდევ უფრო გაამძაფროს წყალდიდობის დამანგრეველი შედეგები. არსებობს წყალდიდობებისა და მათი დამანგრეველი ზემოქმედების შემცირების მრავალი გზა; მათ შორისაა, წყალშემკრებების დაცვა და წყალდიდობის გაფრთხილების სისტემები.

**წყალშემკრებების აღდგენა და დაცვა:** წყალშემკრებების აღდგენა და დაცვა წარმოადგენს წყალდიდობების დამანგრეველი ზეგავლენის შემცირების საუკეთესო საშუალებას. დაუზიანებელი, „ჯანმრთელი“ ჭაობები (ჭარბტენიანი ტერიტორიები), ჭალები და ჭალის ტყეები იცავენ მოსახლეობას დატბორვისაგან; ისინი როგორც ღრუბელი, ისე ისრუტავენ წყალს. ამასთან, წყალდიდობისას ხეები ანელებენ წყლის დინების სიჩქარეს, რის შედეგადაც წყალი უფრო ნელა მიედინება ჭალაში. ჭაობები წყალდიდობისას და წყლის მაღალი დონისას, შეიწოვენ წყალს, ხოლო როდესაც წყლის დონე ეცემა, ისინი ნელ-ნელა უკან უშვებენ შეწოვილ წყალს. დღეს მრავალი ჭაობი, ჭალა და ტყე განადგურებულია სახლების, გზების და საწარმოების მშენებლობის შედეგად, რაც ზრდის როგორც წყალდიდობის რისკებს, ისე მათგან მიყენებულ ზარალს. წყალდიდობების სამართავად და მათი დამანგრეველი შედეგების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია ამ ბუნებრივი რესურსების დაცვა.

**ადრეული გაფრთხილების სისტემები:** მოსალოდნელი წყალდიდობის შესახებ მოსახლეობის დროულად გასაფრთხილებლად, მთავრობებს შეუძლიათ დააფინანსონ დასახლებებში ადრეული გაფრთხილების სისტემის ჩამოყალიბება. ასეთი სისტემები, როგორც წესი, გულისხმობს როგორც გამაფრთხილებელი მოწყობილობების გამოყენებას (მაგალითად, სიგნალები, ხმამაღალი გაფრთხილების მოწყობილობების განთავსება დასახლებებში), ისე საგანგებო სიტუაციებისას (მაგალითად, წყალდიდობებისას) მოქმედების გეგმების არსებობას თითოეული დასახლებისთვის. ადრეული გაფრთხილების სისტემა მსხვერპლის თავიდან აცილებისა და დანაკარგების შემცირების კარგ შესაძლებლობას ქმნის.

## ბოლოტიქმა

იმედს ვიტოვებთ, რომ ამ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ინფორმაცია და ინსტრუმენტები, ასევე წარმატებული მაგალითები, დაგეხმარებათ კაშხლების პროექტების განხორციელებისას თქვენი უფლებების, ინტერესებისა და საარსებო გარემოს დაცვაში. გახსოვდეთ, თქვენ ამ ბრძოლაში მარტო არ ხართ.

1997 წლის მარტში, ბრაზილიაში, ქალაქ კურიტიბაში შედგა კაშხლების შედეგად დაზარალებულთა პირველი საერთაშორისო შეხვედრა. შეხვედრაზე არასამთავრობო ორგანიზაციებმა და კაშხლების შედეგად დაზარალებულებმა დეკლარაცია მიიღეს, სადაც ნათქვამია: “ჩვენ ვართ ძლიერი, განსხვავებულნი, მაგრამ ერთიანი და ჩვენი ბრძოლა სამართლიანია. ჩვენ გავაჩერეთ რამოდენიმე დამანგრეველი კაშხალი და ვაიძულეთ კაშხლების მშენებლები, პატივი ეცათ ჩვენი უფლებებისთვის. ჩვენ უკვე გავაჩერეთ და მომავალშიც გავაჩერებთ არაერთი კაშხლის მშენებლობას”(დეკლარაცია, კურიტიბა, ბრაზილია, 14 მარტი, 1997 წ.).

ამ სიტყვების სისწორე არაერთხელ დადასტურდა. სწორედ ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ დამანგრეველი კაშხლების მშენებლობის შეჩერებას და დავიცავთ დაზარალებული მოსახლეობის უფლებებს. სწორედ ერთად შევძლებთ ისეთი გზების გამონახვას ენერჯიაზე და წყალზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, რომ არ დაზარალდეს გარემო და არ შეილახოს ადამიანთა უფლებები.

ერთად შეგვიძლია უკეთესი მომავლის შექმნა.

## გამოყენებული ლიტერატურა

International Rivers Network. 2006. *Dams, rivers and rights: An action guide for communities affected by dams*. Berkeley CA 94703, USA. International Rivers Network. Available at: <http://www.internationalrivers.org>. Accessed September 2, 2011

International Rivers Network, 2004. *The lagacy of hydro in Laos*. Factsheet. Berkeley CA 94703, USA. International Rivers Network. Available at: <http://www.internationalrivers.org>. Accessed October 5, 2011

International Rivers Network, 2009. *China Three Gorges Dam: A model of the past*. Factsheet. Berkeley CA 94703, USA. International Rivers Network. Available at: <http://www.internationalrivers.org>. Accessed October 5, 2011

International Rivers Network, 2011. *Patagonia's rivers at risk*. Factsheet. Berkeley CA 94703, USA. International Rivers Network. Available at: <http://www.internationalrivers.org>. Accessed October 5, 2011



ასოციაცია მწვანე ალტერნატივა არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც 2000 წელს დააარსდა. მწვანე ალტერნატივას მისიაა საქართველოს გარემოს, ბიოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ეკონომიკურად ხელსაყრელი და გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით მისაღები ალტერნატივების ხელშეწყობის, გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებისა და გადამწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის გზით.

ორგანიზაცია მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ენერჯეტიკა - მოპოვებითი მრეწველობა - კლიმატის ცვლილება; ტრანსპორტის სექტორის მდგრადი განვითარება; ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და ხე-ტყის არალეგალური ჭრის აღკვეთა, სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვა; ნარჩენებისა და წყლის მართვა. ამ თემატური მიმართულებების გარდა, მწვანე ალტერნატივას პრიორიტეტულ მიმართულებებს შორისაა: გარემოსდაცვითი მმართველობის ხელშეწყობა; ინფორმაციაზე, გადამწყვეტილებების მიღების პროცესებსა და მართლმსაჯულებაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; გარემოსდაცვითი მართვისა და მდგრადი განვითარების ინსტიტუტების გაუმჯობესება; საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის და საქართველოსთვის განუვლი საერთაშორისო ფინანსური დახმარების მონიტორინგი.

მწვანე ალტერნატივა თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. 2001 წელს მწვანე ალტერნატივამ საქართველოს სხვა წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად დააფუძნა საქართველოში სიღარიბის შემცირების სტრატეგიის შემუშავებაზე დამკვირვებელთა ქსელი. 2002 წლიდან მწვანე ალტერნატივა, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, მონიტორინგს უწევს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელებას, მის შესაბამისობას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პოლიტიკასა და სახელმძღვანელო პრინციპებთან, პროექტის ზეგავლენას ადგილობრივ მოსახლეობასა და გარემოზე. 2005 წლიდან ორგანიზაცია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის კოალიციის წევრია. 2006 წელს მწვანე ალტერნატივამ საფუძველი ჩაუყარა ტყის დამოუკიდებელი მონიტორინგის ქსელს. დაარსების დღიდან ასოციაცია არის „ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ბანკების საქმიანობაზე დამკვირვებელთა ქსელის“ წევრი; ორგანიზაცია ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს დედამიწის მეგობრების საერთაშორისო ფედერაციასთან, „კლიმატის ცვლილების ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქსელთან“, მდგრადი ენერჯეტიკის საერთაშორისო ქსელთან, სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნულ გარემოსდაცვით, სოციალურ და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან; მწვანე ალტერნატივა არის კოალიციის „გამჭვირვალე საერთაშორისო დახმარება საქართველოსთვის“ წევრი, რომელიც დააარსდა 2008 წელს. 2010 წელს მწვანე ალტერნატივა ინიციატივით დაფუძნდა „საქართველოს მწვანე ქსელი“ - საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ექსპერტების არაფორმალური გაერთიანება, რომელიც მონოდებულია დაიცვას გარემო, ხელი შეუწყოს მდგრად განვითარებას და გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებას საქართველოში.

## ასოციაცია მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის ქ.#27/29, II სართული

ტელ: 2 22 38 74; 2 29 27 73; ფაქსი: 2 22 38 74

greenalt@greenalt.org; www.greenalt.org

2004 წელს მწვანე ალტერნატივა დაჯილდოვდა გოლდმანის გარემოსდაცვითი ფონდის პრიზით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის კამპანიის ფარგლებში გარემოს დაცვის, სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობისათვის განხორციელებული წარმატებული საქმიანობისათვის.